KVINFO
KØN OG LIGESTILLING

საფარი
SAPARI

ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის კვლევა კახეთსა და აჭარაში



თბილისი 2023

ავტორთა ჯგუფი: ბაია პატარაია
ლარისა პატარაია
თეონა თავდიშვილი

© საფარი/SAPARI

აღნიშნული კვლევა მომზადდა დანიის გენდერული თანასწორობის ცოდნის ცენტრის (KVINFO) პროგრამის ფარგლებში : „გენდერი დემოკრატიისთვის: გენდერული სამართლიანობის გაძლიერება საქართველოში, უკრაინასა და დანიაში 2021-2024 წწ“.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეკონომიკურ ძალადობას განსაზღვრავს როგორც ქცევას, რომლითაც მოძალადე ზღუდავს, აკონტროლებს და იყენებს ქალის ეკონომიკურ რესურსებსა და პოტენციალს. ნაშრომის მთავარი მიზანია ინტიმურ ურთიერთობებში ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმის ამოცნობისა და გავრცელების შესწავლა.

კვლევა ჩატარდა იმ ქალთა წარმომადგენლობით შერჩევაზე, რომლებსაც აქვთ ინტიმურ პარტნიორთან თანაცხოვრების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება; გათვალისწინებული იყო კვლევის ეთიკა და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის მეთოდოლოგია. კვლევაში გამოყენებულია ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ შემუშავებული ეკონომიკური ძალადობის საზომი ინდიკატორები ავტორების თანხმობით.

ნაშრომი ადასტურებს მთავარ ჰიპოთეზას, რომ ინტიმურ ურთიერთობებში ეკონომიკური ძალადობა ვლინდება ხსენებული ძალადობის სხვადასხვა ფორმით. განსხვავებული ფორმების არსებობა შესაძლოა აიხსნას პარტნიორთან ურთიერთობის დონით, ასევე ოჯახისა და საზოგადოებრივი ფაქტორებით; ეკონომიკური ძალადობის აღიარება შეიძლება განიმარტოს ქალების ზოგიერთი სოციოდემოგრაფიული მახასიათებლითა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გავრცელებული მითების რწმენით.

კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკური ძალადობა უფრო მეტად გავრცელებულია ინტიმური ურთიერთობის გაწყვეტის/განქორ-

წინების შემდეგ და მისი ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ფინანსური/მატერია-ლური შანტაჟი, რომ ქალი სახსრების გარეშე დარჩება (ქალების 50%), წვდომის შეზღუდვა ქალების პირად ნივთებსა და ქონებაზე (ქალების 40%). ეკონომიკური ძალადობის ზოგად ფორმებში ყველაზე გავრცელებულია ფულსა და თანხის ხარჯვასთან დაკავშირებული ძალადობის ფორმები.

შემდგომ მოდის ეკონომიკური ძალადობის ისეთი სახეები, რომლებითაც პარტნიორი ხელს უშლის დასაქმებული ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ეკონომიკური ძალადობის ფაქტე-ბის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია განქორწინების შემდგომ ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობასთან (მაგ. უარი ალიმენტის გადახდაზე - 83%).

გამოკითხული ქალების თითქმის ნახევარი ცნობს ეკონომიკურ ძალადობას და შეუძლია, შესწავლილი ფორმებიდან ყოველ მათგანში ამოიცნოს იგი.

რეგიონების მიხედვით მდგომარეობა განსხვავებულია თითქმის ყველა შესწავლილ კომპონენტში: ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებ-საც ოდესმე გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან, უფრო მაღალია კახეთის რეგიონში, ვიდრე - აჭარაში.

სარჩევი

რეზიუმე 1

გრაფიკული გამოსახულებების სარჩევი 6

შეჯამება 10

შესავალი 16

- კონტექსტური ანალიზი 16
- ეკონომიკური ძალადობის ფორმები და შედეგები 17
- კვლევის მიზნები და ამოცანები 20
- კვლევის მეთოდოლოგია 23
- სამიზნე ერთობლიობა 23
- საველე პერსონალი 25
- შერჩევის დიზაინი 26
- მონაცემთა დამუშავება და ანალიზი 27

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 28

ეკონომიკური ძალადობა - იდენტიფიცირება 32

- კახეთისა და აჭარის რეგიონების შედარებითი ანალიზი 41

ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან 44

შემოსავლის განაწილება შინამეურნეობებში და ფინანსების მართვა 44

- ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალა 49
  - ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალის სანდოობა 49
  - არსებული გამოცდილებ 50
- ეკონომიკური ძალადობა დასაქმებულ ქალებში 57
- ეკონომიკური ძალადობა დაშორების პროცესში და შემდგომ 61

ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან 66

ძალადობის სხვა ფორმები 70

ეკონომიკური ძალადობა ეთნიკურ უმცირესობებში 75

- დემოგრაფიული პროფილი 75
- ეკონომიკური ძალადობა - იდენტიფიცირება 76

ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან 79
ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალა ეთნიკურ უმცირესობებში 82
ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან 85
ძალადობის სხვა ფორმები 89
დანართები 101
დანართი #1. კვლევის შედეგებისა და აღწერის შედარებითი ანალიზი 101
დანართი #2. არაგანზოგადებადი მონაცემები 104
ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან..... 113
ეკონომიკური ძალადობა ეთნიკურ უმცირესობებში 115
დანართი #3. ჰიპოთეზების ტესტირების შედეგები 116

გრაფიკული გამოსახულებების სარჩევი

გრაფიკი 1.ეკ. ძალადობის ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 1

გრაფიკი 2. ეკ. ძალადობის ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 2 29

გრაფიკი 3. ეკ. ძალადობის ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 3 29

გრაფიკი 4. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 5 30

გრაფიკი 5. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 6 30

გრაფიკი 6. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 7 31

გრაფიკი 7. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 8 31

გრაფიკი 8. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 9 32

გრაფიკი 9. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 10 32

გრაფიკი 10. ეკ. ძალადობის იდენტიფიცირება რეგიონების მიხ. #1 35

გრაფიკი 11. წყვილს შორის შემოსავლების თანაფარდობა 37

გრაფიკი 12. წყვილს შორის შემოსავლების განკარგვა 38

გრაფიკი 13. ოჯახში საერთო ხარჯების განაწილება რეგიონების მიხედვით 39

გრაფიკი 14. გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში, რეგიონების მიხ. 39

გრაფიკი 15. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან 41

გრაფიკი 16. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #2 41

გრაფიკი 17. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #3 42

გრაფიკი 18. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #4 43

გრაფიკი 19. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #5 43

გრაფიკი 20. გამოკითხული ქალების წილი კახეთში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან 44

გრაფიკი 21. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრ. ფორმა 47

გრაფიკი 22. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრ. ფორმა 48

გრაფიკი 23. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრეტული ფორმები 48

გრაფიკი 24. პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები 50

გრაფიკი 25. განქორწინებული ქალების რაოდენობა, რომლებსაც პარტნიორის მხრიდან გამოუცდიათ ეკ. ძალადობის ფორმები 51

გრაფიკი 26. ოჯახის წევრების პროცენტული განაწილება, რომლებიც ახორციელებდნენ ქალზე ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმას 55

გრაფიკი 27. ბავშვობაში ქალზე განხორციელებული ფიზ. ძალადობა 57

გრაფიკი 28. პარტნიორების მხრიდან განხორციელებული ძალადობის სხვა ფორმები 58

გრაფიკი 29. პარტნიორების მხრიდან განხორციელებული ძალადობის სხვა ფორმები 59

გრაფიკი 30. ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 64

გრაფიკი 31. ეთნ. უმცირესობების წარმ. ქალების ჩართულობა ოჯახის ფინანსების მართვაში 65

გრაფიკი 32. ეთნ. უმცირესობების წარმ. ქალების ჩართულობა ოჯახის ხარჯებში 65

გრაფიკი 33. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #1 68

გრაფიკი 34. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მიხ. 68

გრაფიკი 35. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #2 69

გრაფიკი 36. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #3 69

გრაფიკი 37. ფიზიკური ძალადობა მშობლების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში

გრაფიკი 38. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნიკური უმცირესობებში, #1

გრაფიკი 39. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებში, #2 72

გრაფიკი 40. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებში, #3 72

გრაფიკი 41. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებში, #4 73

გრაფიკი 42. ქალის ყოველთვიური შემოსავლის განაწილება პარტნიორის ხელფასთან მიმართებაში 81

გრაფიკი 43. მოსახლეობის განაწილება სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით 82

გრაფიკი 44. ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან (%), საქსტატი 82

გრაფიკი 45. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #1 83

გრაფიკი 46. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #2 83

გრაფიკი 47. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #3 84

გრაფიკი 48. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #4 84

გრაფიკი 49. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #5 85

გრაფიკი 50. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #6 85

გრაფიკი 51. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #7 86

გრაფიკი 52. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #8 86

გრაფიკი 53.ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #9 87

ცხრილი 1. პოპულაციის განაწილება 22

ცხრილი 2. შერჩევის განაწილება 22

ცხრილი 3.რესპონდენტების ასაკი 24

ცხრილი 4. რესპონდენტების განათლების დონე 24

ცხრილი 5. რესპონდენტების აღმსარებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, სამუშაო მდგომარეობა 26

ცხრილი 6. შინამეურნეობის ფონური მახასიათებლები 27

ცხრილი 7. რესპონდენტების განაწილება, რომლებიც არც ერთ დებულებას არ მიიჩნევენ ეკ. ძალადობის ფორმად 34

ცხრილი 8. ეკ. ძალადობის იდენტიფიცირება რეგიონების მიხედვით 36

ცხრილი 9. დემოგრაფიული მონაცემები - ეთნიკური უმცირესობები 61

ცხრილი 10. ეკ. ძალადობის ამოცნობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში 63

ცხრილი 11. გამოცდილი ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმები 67

ცხრილი 12. რესპონდენტის ოჯახური მდგომარეობა რელიგიურ უმცირესობებში 75

ცხრილი 13. რესპონდენტისა და პარტნიორის განათლების დონე რელიგიურ უმცირესობებში 76

ცხრილი 14. რესპონდენტისა და პარტნიორის სამუშაო სტატუსი რელიგიურ უმცირესობებში 76

ცხრილი 15. ყველაზე ხშირად განმეორებადი ეკ. ძალადობის ფორმები არააზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში 78

ცხრილი 16. ქალზე განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები ოჯახის წევრების მხრიდან გამოკითხულთა შორის, პროცენტულად 88

ცხრილი 17. ქალზე განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები ოჯახის წევრების მხრიდან გამოკითხულთა შორის, პროცენტულად 89

ცხრილი 18. ეკ. ძალადობის გავრცელებული ფორმები ეთნიკურ უმცირესობებში 89

ცხრილი 19. ეკ ძალადობის სკალის სანდოობის ანალიზი 90

ცხრილი 20. ჰიპოთეზა #7 - ის ტესტირების შედეგი 90

ცხრილი 21. ჰიპოთეზა #2 - ის ტესტირების შედეგი

ცხრილი 22. ჰიპოთეზა #3 - ის ტესტირების შედეგი

ცხრილი 23. ჰიპოთეზა #4 - ის ტესტირების შედეგი **Error! Bookmark not defined.**

შეჯამება

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში, საპილოტე რეგიონებში - კახეთსა და აჭარაში, იმ ქალების პოპულაციაში ეკონომიკური ძალადობის გავრცელების დადგენა, რომლებსაც აქვთ მინიმუმ ერთწლიანი თანაცხოვრების გამოცდილება ინტიმურ პარტნიორთან ან იმყოფებიან ქორწინებაში/ურთიერთობაში. კვლევის მიზანი ასევე იყო ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტორების განსაზღვრა, ეკონომიკურ ძალადობასა და ძალადობის სხვა ფორმებს შორის კავშირის გამოვლენა ასეთის არსებობის შემთხვევაში. კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად აიდენტიფიცირებენ და აღიარებენ ქალები ეკონომიკურ ძალადობას.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირებისა და გამოვლენის/შეფასების სკალა, რომელიც ეყრდნობა ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ 2014 წელს შედგენილ სკალას. აღნიშნული შემუშავდა ქალების მიერ ინტიმურ ურთიერთობებში ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმის აღიარებისა და გამოცდილების გასაზომად შემდგომ კვლევებში გამოყენების მიზნით.

კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკური ძალადობის ზოგადი ფორმების სამი განცალკევებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული განზომილებიდან (ქონების დაზიანება, ფინანსურ რესურსებზე, განათლებასა ან შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან დაკისრებული ეკონომიკური პასუხისმგებლობების შეუსრულებლობა) პოპულაციაში ყველაზე მეტად წარმოდგენილი ის

ქცევებია, რომელთა საშუალებითაც პარტნიორი აკონტროლებს ქალის ფულის ხარჯვას სხვადასხვა გზით ან/და უნებართვოდ იღებს ქალის კუთვნილ ან საერთო ფულს (15%). ეკონომიკური ძალადობის კონკრეტული ფორმები წარმომადგენლობის თვალსაზრისით ვლინდება ინტიმური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, რაც დაკავშირებულია ბავშვის მოვლის/გაზრდის პასუხისმგებლობასთან. ქალების აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ ამ პროცესში განხორციელდა ეკონომიკური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა უარი ბავშვის მოვლაში მონაწილეობაზე (90%) ან/და უარი ბავშვისთვის ალიმენტის გადახდაზე ყოფილი ქმრის/პარტნიორის მხრიდან (83%). აღნიშნულ საკითხებში დამთხვევაა ზაგრების უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებთან, რომლის მიხედვითაც ხსენებული ეკონომიკური ძალადობა ყველაზე გავრცელებულია ინტიმური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ: ქცევები, რომლებითაც პარტნიორი ხელს უშლის დასაქმებული ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ასევე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ძალადობის ფორმები.

ქალების თითქმის ნახევარმა (40%-50%) განიცადა მინიმუმ ერთი (ან მეტი) სხვა ტიპის ეკონომიკურად ძალადობრივი ქცევა პარტნიორისგან დაშორების/განქორწინების შემდეგ (მუქარა, შანტაჟი). სიხშირული განაწილებით ამას მოსდევს ქცევები, რომლებითაც პარტნიორი ხელს უშლის დასაქმებული ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რასაც განიცდიდა დასაქმებული ქალების 9%-10%.

ეკონომიკური ძალადობის გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტორები გაანალიზდა თეორიულად მიღებული სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის დონეების მიხედვით, ჯერ თითოეულ დონეზე ცალკე, შემდეგ კი ყველა დონეზე ერთად1. ძალადობის სხვა გამოცდილების შემთხვევებიდან გამოიკვეთა ფიზიკური ძალადობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბავშვობაში მშობლების მხრიდან. კვლევამ გამოავლინა, რომ პარტნიორის მხრიდან ქალზე ფიზიკური ძალადობის განხორციელების პროცესში ხშირ შემთხვევაში პარტნიორი არ იყო დასაქმებული, მოიხმარდა ალკოჰოლს ან/და ჰქონდა მიდრეკილება აზარტული თამაშებისკენ.

პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის პროცესში ძირითადად გამოიკვეთა ფინანსური პრობლემები და მნიშვნელოვანი ოჯახური გადაწყვეტილებების მიღება ქალის ჩართულობის გარეშე, რაც ეხება ოჯახის ფინანსებისა თუ უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვას.

რეგიონების მიხედვით ფონი განსხვავებულია. კვლევამ გამოავლინა, რომ კახეთში მცხოვრები ქალები 16-45 ასაკობრივი ჯგუფიდან, რომლებიც კვლევის მომენტისთვის ან ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც ყოფილან ქორწინებაში ან ჰყოლიათ ინტიმური პარტნიორი, უფრო ხშირად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას პარტნიორის მხრიდან, ვიდრე - აჭარაში.

კვლევის ფარგლებში მოხდა განსაზღვრული ჰიპოთეზების ტესტირება ეკონომიკური ძალადობის მოდელის გამოყენებით,

[1] მოდელი ითვალისწინებს ინდივიდუალურ, ურთიერთობებს, საზოგადოებასა და სოციალურ ფაქტორებს შორის კომპლექსურ ურთიერთკავშირს.

რომელიც 36 დებულებისგან შედგებოდა. განსაზღვრულ დებულებებზე გაკეთებულმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათგან შედგენილი ფაქტორები არსებულ მონაცემთა 64%-ს ხსნის. ერთმანეთს დაემთხვა ფაქტორული ანალიზის შედეგად წარმოქმნილი ფაქტორების რაოდენობაც. გარდა ამისა, 36 შეკითხვიანი სკალის შინაგანი სანდოობა შემოწმდა კრონბახის ალფა კოეფიციენტით, რომლის მნიშვნელობაც ამ მონაცემებისთვის $\alpha = 0.964$. აღნიშნული მონაცემი სკალის მაღალ სანდოობაზე მიუთითებს.

დადასტურდა კვლევის პირველი ჰიპოთეზა: კვლევამ გამოავლინა, რომ ქალების 25% ერთხელ მაინც ყოფილა ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის/ქმრის მხრიდან.

დადასტურდა კვლევის მეორე ჰიპოთეზაც: კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკურ ძალადობას უმეტეს შემთხვევებში აქვს სისტემური ხასიათი. ქალების 40%-45%, რომლებიც დაშორების, განქორწინების შემდგომ გახდნენ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი, ქორწინებაშიც განიცდიდნენ ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს. ასევე გამოვლინდა, რომ ის ქალები, რომლებიც განქორწინებულები/დაშორებულები არიან, უფრო ხშირად ყოფილან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი $t(1530) = 22.235$, $p < 0.05$.

ნაწილობრივ დასტურდება მესამე ჰიპოთეზაც: პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებასა და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას შორის საშუალო სიძლიერის კორელაციური კავშირია $r = 0.48$, $p < 0.05$. უმეტეს შემთხვევებში ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებში ყველაზე დიდი წილი ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე.

დადასტურდა მეოთხე ჰიპოთეზაც: ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს ასევე განუცდიათ სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორისგან/ოჯახის სხვა წევრებისგან. ძალადობის ამ ორ ფორმას შორის ძლიერი კავშირია $r = 0.654$, $p < 0.05$. ქალები, რომლებიც ყოფილან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები, ინტიმური პარტნიორის მხრიდან განიცდიდნენ ასევე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ბავშვობაში კი ფიზიკურ ძალადობას მშობლების მხრიდან.

დადასტურდა ასევე კვლევის მეხუთე ჰიპოთეზა და დადგინდა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას სხვა ქალებთან შედარებით, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ჯგუფს $t(1498) = -2.153$, $p < 0.05$.

ნაწილობრივ დადასტურდა მეექვსე ჰიპოთეზაც და დადგინდა, რომ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას $t(1522) = 2.481$, $p < 0.05$, თუმცა, ეს უმეტესად მიემართება ეთნიკურ აზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობას.

ასევე, დადასტურდა მეშვიდე ჰიპოთეზაც და კვლევამ დაადგინა, რომ ქალები, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჰქონდეთ სტაბილური სამსახური და პარტნიორზე მაღალი შემოსავალი, მაინც ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები $t(1545) = -4.02$, $p < 0.05$.

დასტურდება მერვე ჰიპოთეზაც: კვლევამ გამოავლინა, რომ ყოველი მეხუთე ქალი ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკური ძალა-

დობის სხვადასხვა ფორმებს. ქალების ყველაზე დიდი რაოდენობა ნაკლებად ხედავს ეკონომიკურ ძალადობას, თუ ძალადობის ეს ფორმა გამყარებულია ქვეყანაში გავრცელებული სტერეოტიპებით. მაგალითად: დებულება - მეუღლე/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის; სტერეოტიპი - ოჯახის უფროსი კაცია. დებულება - მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე; სტერეოტიპი - ბავშვის გაზრდა ქალის მოვალეობაა. დადგინდა, რომ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი და არამსხვერპლი ქალები ერთნაირად კარგად ამოიცნობენ ეკონომიკურ ძალადობას $t(1552) = 0.255$, $p < 0.05$.

შესავალი

კონტექსტური ანალიზი

ეკონომიკური ძალადობა გენდერული და ოჯახში ძალადობის ფორმაა, თუმცა, ის ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე უხილავ ფორმად რჩება. კვლევების თანახმად, ეკონომიკური ძალადობა ქალებზე ხორციელდება ყველა სოციო-ეკონომიკურ დონეზე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 94-99%-ს მიემართება.

ეკონომიკური ძალადობა მნიშვნელოვნად აზიანებს ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ეკონომიკური ძალადობის შედეგად ქალი ეკონომიკურად დამოკიდებული ხდება მოძალადეზე. ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე არის ის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქალები ვერ წყვეტენ ურთიერთობას მოძალადე პარტნიორთან და რჩებიან ძალადობრივ ურთიერ-თობაში.

ეკონომიკურ ძალადობას ძალიან ხშირად მიმართავენ მოძალა-დეები, რადგან მათთვის ეს ერთგვარი ტაქტიკაა, გააკონტროლონ მსხვერპლი და დატოვონ ის ძალადობრივ ურთიერთობაში. ამ კონტროლის[2] შესანარჩუნებლად მოძალადეები არაერთ ხერხს იყენებენ.

[2] ბაია პატარაია, ეკონომიკური ძალადობა - შეუსწავლელი პრობლემა, 2021, გვ.2

ეკონომიკური ძალადობის ფორმები და შედეგები

ეკონომიკურ ძალადობას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ძალადობას ხშირად განიხილავენ, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას, მკვლევრები მაინც გამოყოფენ საინტერესო ტენდენციებს, რომლებიც დამახასიათებელია ეკონომიკური ძალადობისათვის. სხვადასხვა პოპულაციაში ჩატარებული კვლევების მიხედვით ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას, ხოლო სტუდენტები – ნაკლებად, რადგან ისინი, როგორც წესი, არ ცხოვრობენ პარტნიორებთან ერთად, შესაბამისად, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას და არც მუშაობენ.[3] ქალები, რომლებიც პარტნიო-რზე მეტს გამოიმუშავებენ, უფრო ხშირად ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი, განსაკუთრებით – ტრადიციული და არაეგალიტარული ღირებულებების მქონე ოჯახებში.

ეკონომიკურ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს მრავალი ფორმა, მას ხშირად განიხილავენ როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას. ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- მუშაობაში ხელის შეშლა შემავიწროებელი ქცევით, როგორიცაა ხშირად დარეკვა და მოულოდნელი ვიზიტები სამსახურში და სხვა;

[3] Francesca Bettio and Elisa Ticci, Violence Against Women and Economic Independence, 2017, p.57

- მსხვერპლისთვის ფულის არმიცემა და ფულის მოპოვებაში ხელის შეშლა იმ დონეზე, რომ მსხვერპლი სრულიად დამოკიდებული ხდება მოძალადეზე საკვებით, ტანსაცმლითა და თავშესაფრით;
- მსხვერპლისთვის მუშაობის ან სწავლის აკრძალვა, ან მისი ისეთ აქტივობაში ჩართვა, რაც შეუძლებელს ხდის მუშაობას ან სწავლას;
- საკვების, ტანსაცმლის, თავშესაფრის, პირადი ჰიგიენის საშუალებების ან წამლის მიზანმიმართულად არმიცემა;
- მსხვერპლისთვის ფულის მოპარვა, მისი ფულის, აქტივების ან ფინანსური სახსრების თაღლითურად, პირადი მოგების მისაღებად გამოყენება ან/და ექსპლუატაცია;
- მსხვერპლის მიერ ფულის ხარჯვის გამამართლებელი მიზეზების მოკითხვა და მისი დასჯა ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობის გზით;
- მსხვერპლის პირადი საკუთრების მოპარვა ან განადგურება;
- მსხვერპლისათვის პირადი საბანკო ანგარიშის ფლობის აკრძალვა;
- სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის არგადახდა;
- მსხვერპლის იძულება, აიღოს კრედიტი, შემდეგ კი მისი საკრედიტო ისტორიის გაფუჭება და მომავალში კრედიტის აღების შესაძლებლობის მოსპობა.[4]

[4] ეროვნული კოალიცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (NCADV)

ვინაიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას არ სჭირდება ფიზიკური სიახლოვე, ის ხშირად განგრძობადია და შეიძლება გაძლიერდეს წყვილის განცალკევების შემდეგაც და სერიოზული პრობლემები შეუქმნას მსხვერპლს, რომელიც ცდილობს ახალი ცხოვრების დაწყებას. ეს არის იძულებითი კონტროლის ერთ-ერთი სახე, რომელიც ყველაზე ხშირად მოიცავს:

- ფულის ხარჯვას მსხვერპლის პირადი ან საერთო საბანკო ანგარიშიდან;
- გადასახადების წარმოებას მსხვერპლის სახელზე;
- საერთო საკუთრების გაყიდვის დროში გაწელვას;
- პირადი ნივთების მოპარვას ან დაზიანებას;
- მსხვერპლის დასაქმებაში ან სამსახურის შენარჩუნებაში ხელის შეშლას;
- მსხვერპლის ჩათრევას განგრძობით სასამართლო დავებში, რაც ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ასევე, ხშირად მსხვერპლს მოძალადის გამო რჩება ვალები და გაფუჭებული საკრედიტო ისტორია.[5]

ამასთანავე, გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ეკონომიკური ძალადობისთვის.

ეკონომიკური ძალადობის ძირითად ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

[5] ბაია პატარაია, ეკონომიკური ძალადობა - შეუსწავლელი პრობლემა, 2021, გვ.4

- კაცების მიერ დომინირებული ძალაუფლების იერარქიის არსებობა;
- ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება არის ნორმალიზებული, ინტერნალიზებული და გაძლიერებული საზოგადოების მიერ;
- ქალებს ასწავლიან, რომ კაცებს უკეთ შეუძლიათ ფულის და ფინანსების მართვა;
- შრომით ურთიერთობებში გამოვლენილი პრობლემები და სხვა.[6]

ზემოთ განხილული გარემოებების გამო მნიშვნელოვანია საკითხის - ეკონომიკური ძალადობის ფარული და ხილული ფორმების, ქალების გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა.

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა რეგიონებში მცხოვრები ქალების გამოცდილების შესწავლა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ ძალადობასთან მიმართებაში; იმ მდგომარეობის შესწავლა, რომელშიც იმყოფებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები, მიუხედავად იმისა, აიდენტიფიცირებენ ამას თუ არა. კვლევის ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. დადგენა იმისა, განუცდიათ თუ არა ქალებს/გოგონებს ეკონომიკური ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან;

[6] Ibid, გვ. 5

2. ინტიმური პარტნიორის მხრიდან გოგონებისა და ქალების მიმართ მათი სიცოცხლის მანძილზე განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოვლენა;
3. პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელების სიხშირის იდენტიფიცირება;
4. დადგენა იმისა, განუხორციელებია თუ არა მათზე ეკონომიკური ძალადობა რაიმე ფორმით ოჯახის სხვა წევრს;
5. გამოვლენა იმისა, ეკონომიკური ძალადობის გარდა განუცდია თუ არა მსხვერპლ ქალებს რაიმე ტიპის ძალადობა (სხვა ფორმით) პარტნიორის ან/და ოჯახის სხვა წევრის მხრიდან;
6. დადგენა, განიცდიან თუ არა ეკონომიკურ ძალადობას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები უფრო მეტად, ვიდრე ეთნიკური ქართველები და ის ქალები, რომლებიც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას მიაკუთვნებენ თავს;
7. გამოვლენა, განიცდიან თუ არა ეკონომიკურ ძალადობას ქალები, რომლებიც პარტნიორზე მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე ქალები, რომელთაც არ აქვთ სამსახური ან პარტნიორზე ნაკლები შემოსავალი აქვთ;
8. დადგენა, აიდენტიფიცირებენ თუ არა გოგონები/ქალები ეკონომიკურ ძალადობას.

კვლევა ჩატარდა ორ საპილოტე რეგიონში: აჭარასა და კახეთში. ეკონომიკურ ძალადობასთან მიმართებით ზოგადი სურათისა და ტენდენციების გამოსავლენად გათვალისწინებულ იქნა ისეთი ცვლადები, როგორებიცაა: რეგიონი, დასახლებული პუნქტი (ქალა-

ქი/სოფელი), ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, შემოსავლები, ეთნიკური წარმომავლობა და აღმსარებლობა.

ზემოთ განხილული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შემუშავდა რიგი ჰიპოთეზები, რომელთა ტესტირებაც განხორციელდა წინამდებარე კვლევის ფარგლებში:

1. ქალები ინტიმურ ურთიერთობაში ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები ქმრების/პარტნიორების მხრიდან;
2. ეკონომიკური ძალადობა განგრძობადია, როგორც წესი, აქვს სისტემატური ხასიათი და განქორწინების ან წყვილის განცალკევების შემდეგაც გრძელდება;
3. ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს განუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრის მხრიდან;
4. ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს, როგორც წესი, განუცდიათ სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორის ან/და ოჯახის სხვა წევრის მხრიდან;
5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას;
6. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას;
7. ქალები, რომლებიც პარტნიორზე მეტს გამოიმუშავებენ, უფრო ხშირად ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი;
8. ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი გოგონების/ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობა ნაწილობრივ აიდენტიფიცირებს ეკონომიკურ ძალადობას.

კვლევის მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევითი კომპონენტი.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა სამიზნე რეგიონებში, კახეთსა და აჭარაში, და მის ფარგლებში გამოიკითხნენ ადგილობრივი მაცხოვრებელი ქალები. კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით (CAPI).

სამიზნე ერთობლიობა

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებული სანდო მონაცემების/ინდიკატორების მიღებას, რომლებიც რეპრეზენტატული იქნებოდა რეგიონულ (ქალაქად/სოფლად) დონეზე. კვლევამ დაფარა ორი საპილოტე რეგიონი: დასავლეთ საქართველოში - აჭარა, აღმოსავლეთ საქართველოში - კახეთი.

კვლევის სამიზნე ერთობლიობას კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 16-45 წლის ქალები წარმოადგენდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მთავარ ამოცანას ქალთა მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის შესწავლა წარმოადგენდა, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ქალებმა, რომლებიც კვლევის მომენტისთვის ან ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც ყოფილან ქორწინებაში ან ჰყოლიათ ინტიმური პარტნიორი. შესაბამისად, რესპონდენტები მათი სტატუსიდან გამომდინარე ინტერვიუში საუბრობდნენ მიმდინარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ბოლო ინტიმურ პარტნიორზე.

კითხვარი

კვლევაში გამოყენებულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობის კვლევების საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკა, ეთიკისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები.

კითხვარს საფუძვლად დაედო ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრის, კსენიჯა კლასნიჩის (Ksenija) ნაშრომი „ინტიმურ ურთიერთობებში ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის აღიარებისა და გამოცდილების საზომი ინდიკატორების შემუშავება და შეფასება“. ავტორის თანხმობით წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კითხვარი ადაპტირდა ქართულ რეალობასთან.

კითხვარი დაიყო ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ადგენდა, ახდენენ თუ არა ქალები ეკონომიკური ძალადობის იდენტიფი-ცირებას, ხოლო მეორე ნაწილით განისაზღვრა, ჰქონიათ თუ არა რესპონდენტებს ასეთი გამოცდილება. კითხვარმა გააერთიანა შემდეგი ბლოკები: რესპონდენტის დემოგრაფიული პროფილი, პარტნიორის დემოგრაფიული პროფილი, ეკონომიკური ძალადობა - აღქმა/იდენტიფიცირება, ეკონომიკური ძალადობა ქმრის/ინტიმური პარტნიორის მხრიდან - გამოცდილება, ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან - გამოცდილება, ძალადობის სხვა ფორმები - გამოცდილება[7].

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის კითხვარი ითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე. კითხვარების ტესტირება მოხდა

[7] კითხვარის სრული ვერსია წარმოდგენილია დანართის სახით, დანართი #4

როგორც საქალაქო დასახლებებში, ასევე სოფლებში. თითოეულ რეგიონში გამოიკითხა 15 რესპონდენტი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან. შემოწმდა კითხვარისა და კითხვების გამართულობა, კონტენტის აღქმადობა, კითხვარში კითხვების რაოდენობის ადეკვატურობა. კითხვარის ტესტირებისას არსებითი ხარვეზები არ გამოვლინდა.

საველე პერსონალი

საკვლევი თემატიკიდან და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკითხვისთვის შერჩეული ყველა ინტერვიუერი იყო ქალი. ყველა საველე მკვლევარს ჰქონდა შერჩევით გამოკვლევასა და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება. აღნიშნული პრინციპით ორი რეგიონიდან შეირჩა 17 ინტერვიუერი, დამატებით 2 რეგიონული ზედამხედველი (კოორდინატორი).

კვლევის კითხვარისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში ჩართულ-მა მკვლევრებმა ჩაატარეს ტრენინგები საველე პერსონალთან. ტრენინგები წარიმართა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც რამდენიმე საკითხს აერთიანებდა: კვლევის კონტექსტი, ეკონომიკური ძალადობის მნიშვნელობა; კვლევასთან დაკავშირებუ-ლი საკითხები; რესპონდენტის ნდობის მოპოვებისა და ინტერვიუს ჩატარების ტექნიკები; დემოგრაფიული და ძირითადი კითხვარის დეტალური განხილვა; საველე კვლევის ტექნიკური ნაწილი: შერჩევის დიზაინი, ბიჯი, ინტერვიუერის მოძრაობის ინსტრუქცია, აღრიცხვის გეგმა.

შერჩევის დიზაინი

შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები.

შერჩევის მეთოდად განისაზღვრა კლასტერული შერჩევა. შერჩევის ცდომილების შემცირების მიზნით გამოყენებული დაჯგუფება შემდეგ ცვლადებს შეიცავდა:

- რეგიონი: კახეთი, აჭარა
- დასახლების ტიპები: საქალაქო დასახლებები, სასოფლო დასახლებები.

შერჩევის დიზაინის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასოფლო და საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების პროპორციული განაწილება.

- პოპულაცია - 132 135 ქალი
    - კახეთი - 56 880
    - აჭარა - 75 255

პოპულაცია	**საქალაქო დასახლება**	**სასოფლო დასახლება**
კახეთი	24%	76%
აჭარა	58%	42%
სულ		

ცხრილი 1. პოპულაციის განაწილება

- სანდოობის დონე - 95%
- ცდომილება - 5%

შერჩევის ზომა	**საქალაქო დასახლება**	**სასოფლო დასახლება**	**სულ**
კახეთი	374	381	755
აჭარა	381	380	761
სულ			**1 516**

ცხრილი 2. შერჩევის განაწილება

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2023 წლის იანვრის თვეში.

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემების შეგროვება მოხდა საველე კვლევების ონლაინ პლატფორმის საშუალებით, პირისპირ რეჟიმში ელ. მოწყობილობების დახმარებით (CATI).

გამოკითხვის შედეგად შეგროვებული მონაცემები გაიწმინდა და მომზადდა IBM SPSS პროგრამისთვის განკუთვნილი ბაზა. მონაცემების წმენდისას შემოწმდა გამოტოვებული მონაცემები (missing data) და თითოეულ შემთხვევას მიენიჭა შესაბამისი გამოტოვების კოდი ამ გამოტოვების მიზეზის გასარჩევად (მაგალითად, რესპონდენტმა შეწყვიტა კითხვარის შევსება, გამორჩა კონკრეტული შეკითხვა თუ უბრალოდ მას ეს შეკითხვა არ ეკუთვნოდა).

ასევე კოდი მიენიჭა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც რესპონდენტები ერთ შეკითხვაზე ერთზე მეტ პასუხს სცემდნენ. შემოწმდა ცვლადებს შორის ლოგიკური კავშირი და საბოლოოდ მთლიანი ბაზის გამართულობა.

ეკონომიკური ძალადობის 11 შეკითხვიანი სკალის სანდოობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა შინაგანი სანდოობის საზომი კრონბახის ალფა.

ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული 11 შეკითხვიანი სკალის შინაგანი სანდოობის მაჩვენებელი $\alpha = 0.929$. ეს მონაცემი კონკრეტული სკალის მაღალ შინაგან შეთანხმებულობაზე მიუთითებს. სანდოობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ შემუშავებული სკალის სანდოობის დონისაგან (სკალის სანდოობაა $\alpha=0.797$).

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია რესპონ-დენტებისა და ამჟამინდელი/ყოფილი ქმრების/პარტნიორების მახასიათებლები. დეტალურად არის აღწერილი დემოგრაფიული ინფორმაცია, პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი, შინამეურ-ნეობის მოცულობა, შემოსავალი, განათლება და დასაქმება.

ფონური მახასიათებლები

პირველი ცხრილი კვლევის მონაწილეთა ასაკობრივ განაწილებას ასახავს. რესპონდენტების უმრავლესობა 30-34 წლისაა (26%).

ასაკი	%
16 - 24	9.2
25 – 29	16.9
30 – 34	26.0
35 – 39	22.5
40 - 45	25.7

ცხრილი 3.რესპონდენტების ასაკი

რესპონდენტების ყველაზე დიდ ნაწილს, თითქმის 38%-ს, არ აქვს უმაღლესი განათლება და სრული ზოგადი განათლება. ქალების 9%-მა საბაზისო ზოგადი განათლება მიიღო (არასრული საშუალო). თითქმის ერთ მეხუთედს პროფესიული განათლება აქვს.

განათლების მიღწეული საფეხური	%
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო)	9.1
სრული ზოგადი განათლება	37.8
პროფესიული/ტექნიკური განათლება	20.7
არასრული უმაღლესი განათლება	1.9
სრული უმაღლესი განათლება	30.5

ცხრილი 4. რესპონდენტების განათლების დონე

საკვლევ ჯგუფს წარმოადგენდნენ 16-დან 46 წლამდე ასაკის ქალები, რომლებიც კვლევის ეტაპისთვის ან წარსულში ყოფილან ფორმალურ ან/და არაფორმალურ ურთიერთობაში. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დაზუსტდა ინტიმურ პარტნიორთან ურთიერ-თობის მიმდინარე სტატუსი:

მიმდინარე ურთიერთობების სტატუსი	**%**
დაქორწინებული	87.3
განქორწინებული	4.3
ქვრივი	2.2
ცხოვრობს პარტნიორთან	2.9
დაშორებული	3.3

კვლევის დიზაინზე მუშაობისას გაკეთდა დაშვება, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას. შესაბამისად, შერჩევაში გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული ჯგუფიც

ეთნიკური წარმომავლობა	**%**
არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი	7.4
არ არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი	92.6

კვლევის ფარგლებში შემუშავებული მეექვსე ჰიპოთეზის მიხედვით ეკონომიკური ძალადობის მაჩვენებელი განსხვავდება აღმსარებლობის მიხედვით. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებში უფრო მეტად არის გავრცელებული ეკონომიკური ძალადობა. შესაბამისად, შერჩევით ერთობლიობაში წარმო-დგენილია რელიგიური უმცირესობები იმ განაწილებით, რა პროპორციითაც ისინი წარმოდგენილები არიან პოპულაციაში (უშუალოდ საპილოტე რეგიონებში).

აღმსარებლობა	**%**
სომხური სამოციქულო ეკლესია	0.1
კათოლიკური ეკლესია	0.1
მართლმადიდებლური ეკლესია	74.8
ისლამი	24.1
სხვა	0.7
არცერთი	0.2
დასაქმების სტატუსი	**%**
უმუშევარი	60.3
დასაქმებული საჯარო სექტორში	14.1
დასაქმებული კერძო სექტორში	19.5
მუშაობს ოჯახში დამხმარედ/ძიძად	0.1
აქვს საკუთარი ბიზნესი (ბიზნესი, სადაც სხვებიც ჰყავს დასაქმებული)	2.0
თვითდასაქმებული (დამოუკიდებლად ამზადებს ნივთებს და ყიდის)	3.9

ცხრილი 5. რესპონდენტების აღმსარებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, სამუშაო მდგომარეობა

შინამეურნეობის შემოსავალი	**%**
300 ლარამდე	1.9
301-500 ლარი	6.7
501-700 ლარი	9.1
701-900 ლარი	12.4
901-1 200 ლარი	18.9
1 201-1 500 ლარი	17.3
1 501-2 000 ლარი	14.6
2 001 და მეტი	17.8
არ გვაქვს შემოსავალი	1.3
შინამეურნეობის შემადგენლობა	**%**
2 წევრი	3.8
3 წევრი	15.9
4 წევრი	25.2
5 წევრი	25.5
6 წევრი	19.2
7 წევრი და მეტი	10.3
შინამეურნეობის საცხოვრებელი	**%**
სახლი ქმრის საკუთრებაა	29.4
სახლი ცოლის საკუთრებაა	7.2
ქმარი და ცოლი სახლის თანამესაკუთრეები არიან	6.6
სახლი ოჯახის სხვა წევრის საკუთრებაა	46.6
დაქირავებულია	8.8
სხვა	1.4

ცხრილი 6. შინამეურნეობის ფონური მახასიათებლები

ეკონომიკური ძალადობა - იდენტიფიცირება

ეკონომიკური ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე შეფარული და ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმაა. რიგ შემთხვევებში ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები ვერც კი აცნობიერებენ, რომ ისინი ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები არიან.

კვლევის ფარგლებში გაკეთდა დაშვება, რომ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი გოგონების/ქალების უმრავლესობა ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკურ ძალადობას, რაც შესაძლოა აიხსნას რიგი სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლებითა და გავრცელებული გენდერული სტერეოტიპებით.

ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის სკალა 11 დებულებისაგან შედგებოდა. გამოვლინდა, რომ აღნიშნული სკალის შინაგანი სანდოობის მაჩვენებელი α = 0.929, რაც მაღალ შინაგან შეთანხმებულობაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამიზნე რეგიონებში ყოველი მეხუთე ქალი ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკური ძალადობის ფორმებს.

კვლევამ გამოავლინა, რომ ქალების გარკვეული ნაწილი (39,5%) ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევს ფაქტს, როდესაც მეუღლე/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის.



აღნიშნული ყველაზე ახლოს არის საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპთან, რომ „ოჯახის უფროსი კაცია“ და ის უნდა იღებდეს ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

გამოკითხულთა 26,5% არ მიიჩნევს ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმად ბავშვის მოვლის/გაზრდის პროცესში ჩართულობაზე უარის თქმას მამაკაცის მხრიდან.



გრაფიკი 2. ეკ. ძალადობის ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 2

გამოკითხული ქალების 19,4% ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევს ქმედებებს, რაც გულისხმობს ქმრის/პარტნიორის მხრიდან ცოლისთვის სწავლის ან/და მუშაობის შეზღუდვას.



გრაფიკი 3. ეკ. ძალადობის ყველაზე ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 3

კვლევამ გამოავლინა, რომ სამიზნე რეგიონებში გამოკითხული ქალების 19% ეკონომიკური ძალადობის ფორმად არ მიიჩნევს ფაქტს, როდესაც ცოლი/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე.



გრაფიკი 4. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 5

კვლევამ გამოავლინა, რომ სამიზნე რეგიონებში ყოველი მეხუთე ქალი ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევს ფაქტს, როდესაც ქმარს/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი მის შემოსავალზე.



გრაფიკი 5. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 6

სამიზნე რეგიონებში გამოკითხული ქალების თითქმის მეხუთედი თვლის, რომ არ წარმოადგენს ეკონომიკურ ძალადობას ფაქტი, როდესაც ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს საკუთარი ქონების განკარგვაში ან საკუთარი ფულის დახარჯვაში.



გრაფიკი 6. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 7

გამოკითხული ქალების 12% არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად ფაქტს, როდესაც ქმარი/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის - მაგალითად, საკვებსა თუ სხვადასხვა ნივთებზე გასაწევი ხარჯები.



გრაფიკი 7. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 8

კახეთისა და აჭარის რეგიონებში გამოკითხული ქალების 11% არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად ქმრის/პარტნიორის ქმედებას, როდესაც იგი განზრახ ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებსა თუ ქონებას.



გრაფიკი 8. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 9

მიზნობრივ რეგიონებში გამოკითხული ქალების 10% ვერ ხედავს ეკონომიკურ ძალადობას ფაქტში, როდესაც ყოფილი ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვისთვის ალიმენტის გადახდაზე.



გრაფიკი 9. ეკ. ძალადობის ნაკლებად იდენტიფიცირებადი ფორმა, 10

ქალების 49%-ს მიაჩნია, რომ ჩამოთვლილი თერთმეტივე ქცევა ეკონომიკური ძალადობაა, ხოლო 6% არ აღიარებს მათ ეკონომიკური ძალადობის ფორმებად.

კვლევის ფარგლებში განსაზღვრული იმ 11 ქცევიდან, რომლებითაც ფასდება ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირება, ქალები საშუალოდ აღიარებენ 8-ს (საშუალო არითმეტიკული = 8.73; sd=3.42; მედიანა=10).

სურათი არსებითად არ განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ქალების პროპორციული განაწილება, რომლებიც არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტს არ მიიჩნევენ ეკონომიკურ ძალადობად, თანაბარია. მცირედით განსხვავდება 35-39 ასაკობრივი ჯგუფი, მათი მხოლოდ 4% არ აღიარებს დასახელებულ ქმედებებს ეკონომიკურ ძალადობად. ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირებისას განსხვავებები ვლინდება რესპონდენტების განათლების დონის, აღმსა-

რებლობის, საცხოვრებელი ადგილისა თუ ეთნიკური უმცირესობების სტატუსის მიხედვით.

მოცემულ ფონურ სურათში გამოიკვეთა, რომ ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევენ კონკრეტულ ფაქტებს ქალების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები, რომლებშიც ძლიერია აღმსარებლობასა თუ ტრადიციებთან დაკავშირებული სტერეოტიპები; ასევე ქალები, რომლებიც დამოკიდებული არიან ქმრებზე/პარტნიორებზე, რადგან აქვთ არასრული საშუალო განათლება, არ არიან ფინანსურად დამოუკიდებლები.

შესწავლილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების 23% ჩამოთვლილი 11 ქცევიდან არც ერთს არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად. მნიშვნელოვანი სხვაობა ვლინდება ასევე ქალაქებსა და სოფლებში მაცხოვრებლები ქალების აღქმებს შორის. სოფლებში მცხოვრები ქალების 9% ვერ აიდენტიფიცირებს ეკონომიკურ ძალადობას მაშინ, როდესაც ქალაქებში მცხოვრებ ქალებში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ია.

ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირების შესწავლისას იკვეთება განსხვავება განათლების დონის მიხედვით. რაც უფრო მაღალია განათლების მიღწეული საფეხური, მით უფრო ნაკლებია იმ ქალების წილი, რომლებიც ვერ აიდენტიფიცირებენ ეკონომიკურ ძალადობას. ყველაზე უკეთ ეკონომიკურ ძალადობას ცნობენ ქალები არასრული თუ სრული უმაღლესი განათლებით.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია განსხვავება აღმსარებლობის მიხედ-ვით. შესწავლილ მუსლიმ პოპულაციაში მართლმადიდებლებ-თან შედარებით ორჯერ მეტია (10%) იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც შეფასების სკალის მიხედვით ვერ აიდენტიფიცირებენ ეკონომიკურ ძალადობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გამოკითხული ქალების დემოგრაფიული პროფილი, რომლებიც დასახელებული 11 დებულებიდან არც ერთს არ მიიჩნევენ ეკონომიკურ ძალადობად.

არ მიიჩნევს არც ერთ პუნქტს ეკ. ძალადობად

განათლება	
არასრული საშუალო	15%
სრული საშუალო	7%
პროფესიულ ტექნიკური	5%
არასრული უმაღლესი განათლება	0%
სრული უმაღლესი განათლება	
აღმსარებლობა	
მართლმადიდებლური ეკლესია	5%
ისლამი	10%
სტატუსი	
ეთნიკური უმცირესობა	23%
სამუშაო სტატუსი	
დასაქმებული	5%
უმუშევარი	7%
საცხოვრებელი ადგილი	
ქალაქი	2%
სოფელი	9%
ოჯახური მდგომარეობა	
დაოჯახებული/ცხოვრობს პარტნიორთან	6%
განქორწინებული/დაშორებული	4%
ქვრივი	9%

ცხრილი 7. რესპონდენტების განაწილება, რომლებიც არც ერთ დებულებას არ მიიჩნევენ ეკ. ძალადობის ფორმად

კახეთისა და აჭარის რეგიონების შედარებითი ანალიზი

განსხვავებულია სურათი რეგიონების მაცხოვრებლებს შორის. კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარის რეგიონში მცხოვრები ქალები უკეთ ახდენენ ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმების იდენტიფიცირებას, ვიდრე - კახეთში მცხოვრები ქალები. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს მოსახლეობის ტერიტორიული განაწილებით (საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის წილი კახეთის რეგიონის მთლიან მოსახლეობაში 24%-ს შეადგენს, ხოლო აჭარაში - 58%).

აჭარაში გამოვლენილი დაბალი მაჩვენებელი აგრეგირებული ანალიზის შემთხვევაში გავლენას ახდენს საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გაკეთდა სამიზნე რეგიონებში ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.

კახეთში მცხოვრები ქალების თითქმის ნახევარი - 47% არ თვლის, რომ ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა, როცა ოჯახში ფინანსური გადაწყვეტილების პროცესში არ არის ქალი ჩართული და ამას პარტნიორი მამაკაცი დამოუკიდებლად აკეთებს. აჭარაში მცხოვრები ქალების 32% იზიარებს ამ აზრს.



გრაფიკი 10. ეკ. ძალადობის იდენტიფიცირება რეგიონების მიხ. #1

კახეთის რეგიონში ქალების 36% ვერ აცნობიერებს, რომ თუ ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში მონაწილეობაზე, ეს ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს, აჭარაში კი იგივე მაჩვენებელი 17%-ს შეადგენს.

კახეთში მცხოვრები ქალების 27% არ თვლის ეკონომიკურ ძალადობად ფაქტს, როდესაც ქალი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე. აჭარის რეგიონში იგივე მაჩვენებელი 11%-ს შეადგენს. ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევს რეგიონებში მცხოვრები ქალების გარკვეული ნაწილი ისეთ ფაქტებს, როგორებიცაა ქმრის მიერ ცოლისთვის კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვაში (კახეთი 25%, აჭარა 9%) თუ საკუთარი ფულის ხარჯვაში ხელის შეშლა (კახეთი 24%, აჭარა7%).

არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად	კახეთი	აჭარა
ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე	36%	17%
ყოფილი ქმარი/პარტნიორი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე	14%	6%
ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში	27%	12%
ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს დასაქმებაში	26%	10%
ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს საკუთარი ქონების განკარგვაში	25%	9%
ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს, დახარჯოს საკუთარი ფული	24%	7%

ქმარს/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე	26%	10%
ქმარი/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები (საკვები, ნივთები)	20%	5%
ცოლი/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე	27%	11%
ქმარი/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს, ქონებას	21%	5%

ცხრილი 8. ეკ. ძალადობის იდენტიფიცირება რეგიონების მიხედვით

ქმრის/პარტნიორის მხრიდან ქალისათვის პირადი ნივთების დაზიანებაშიც ვერ ხედავს ეკონომიკურ ძალადობას კახეთში მცხოვრები ქალების 21%, ხოლო აჭარაში - 5%.

სურათი თითქმის იდენტურია ისეთ ქმედებასთან მიმართებაში, როგორიცაა ქალის იძულება, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები. კახეთში მცხოვრები ქალების 20% არ მიიჩნევს აღნიშნულ დებულებას ეკონომიკურ ძალადობად, ხოლო აჭარაში - 5%.

შესწავლილ რეგიონებს შორის სხვაობა არ არის განპირობებული რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების რაოდენობით. აღნიშნული ჯგუფი არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მოცემულ საერთო შედეგებზე.

ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

შემოსავლის განაწილება შინამეურნეობებში და ფინანსების მართვა

კვლევის ფარგლებში მოხდა შინამეურნეობებში არსებული მდგომარეობის - იმ მოცემულობის შესწავლა, რომლებშიც ცხოვრებენ ქალები სამიზნე რეგიონებში. შეფასდა ქალების ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმების სტატუსი და მათი ჩართულობა ოჯახში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დადგინდა, რომ შესწავლილი შემთხვევების 45%-50%-ში წყვილებს შორის მხოლოდ მამაკაცებს აქვთ შემოსავალი. თანაბარი შემოსავალი აქვთ გამოკითხულთა მხოლოდ 10%-13%-ს. მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით განსხვავდება და უმეტეს შემთხვევებში კახეთის რეგიონში უფრო დიდია განსხვავება წყვილის შემოსავალს შორის, ვიდრე - აჭარის რეგიონში.



გრაფიკი 11. წყვილს შორის შემოსავლების თანაფარდობა

აჭარაში კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქალების 50%-მა აღნიშნა, რომ მიღებული შემოსავალი საერთო ბიუჯეტში მიდის და შემდგომ თანაბრად ხდება მისი განკარგვა. იგივე მაჩვენებელი კახეთის რეგიონში 41%-ის ტოლია.

შესწავლილი შემთხვევების 23%-ში კი საერთო შემოსავლის დიდ ან მთლიან ნაწილს ქმარი/პარტნიორი განკარგავს.



გრაფიკი 12. წყვილს შორის შემოსავლების განკარგვა

შესწავლილი შემთხვევების 38%-41%-ში საერთო ხარჯებს, როგორებიცაა კომუნალური გადასახადები, საკვები, საყოფა-

ცხოვრებო ქიმია და ა.შ. ქმარი/პარტნიორი იხდის, რაც შეესაბამება ზემოთ მოცემულ სურათს ყოველთვიური შემოსავლის თანაფარ-დობასა და განაწილებასთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე „სხვა ადამიანი“-ში ძირითადი წილი მოდის ქმრის/პარ-ტნიორის მშობლებზე.

ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა ქალისათვის ფინანსებზე წვდომის შეზღუდვა, რომ ქალს არ ჰქონდეს შეხება ფულთან.



გრაფიკი 13. ოჯახში საერთო ხარჯების განაწილება რეგიონების მიხედვით

კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარის რეგიონში შემთხვევების 9%-ში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს ქმარი/პარტნიორი და ამ პროცესში ცოლი არ არის ჩართული. სურათი მნიშვნელოვნად განსხვავებულია კახეთის რეგიონში და იგივე მაჩვენებელი 19%-ს შეადგენს.



გრაფიკი 14. გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში რეგიონების მიხ.

ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალა

ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალის სანდოობა

ეკონომიკური ძალადობის გამოცდილების კონსტრუქციული სკალები ზომავს პარტნიორების მხრიდან ქალების მიმართ გარკვეული ეკონომიკურად ძალადობრივი ქცევის გამოცდილების სიხშირეს.

ეკონომიკური ძალადობის სკალა 36 დებულებისგან შედგება. მონაცემების დამუშავებისას მოხდა აღნიშნული ცვლადების კოდირება და შეჯამებით შეიქმნა ერთიანი 36 ქულიანი სკალა. აღნიშნული დებულებებით ფასდებოდა ინტიმურ პარტნიორსა და ქალს შორის არსებული გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით: ფინანსების მართვა, ქონების გაყოფა/განკარგვა, სწავლაში/დასაქმებაში ხელშეშლა, ხარჯების დამალვა, სესხი და ფინანსურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული საკითხები.

დებულებებზე გაკეთებულმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათგან შედგენილი ფაქტორები არსებულ მონაცემთა 64%-ს ხსნის (ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრების სკალის ფაქტორული ანალიზის შედეგი - 67%).

ერთმანეთს დაემთხვა ფაქტორული ანალიზის შედეგად წარმოქმნილი ფაქტორების რაოდენობაც. გარდა ამისა, 36 შეკით-

ხვიანი სკალის შინაგანი სანდოობა შემოწმდა კრონბახის ალფა კოეფიციენტით, რომლის მნიშვნელობაც ამ მონაცემებისთვის α = 0.964. ეს უკანასკნელი სკალის მაღალ სანდოობაზე მიუთითებს (ზაგრების უნივერსიტეტის მკვლევრების მიერ შემუშავებული ეკონომიკური ძალადობის ზოგადი ფორმების გამოცდილების ჯამური სკალა შედგებოდა სულ 26 დიქოტომიური ელემენტისგან, რომლებისთვისაც სკალის შიდა თანმიმდევრულობის კრონბახის ალფა კოეფიციენტი მაღალია α=0.959. ანალიზი ჩატარდა 565 რესპონდენტზე).

ქვემოთ მოცემულ ქვეთავში ნაჩვენებია იმ დებულებების შედეგები, რომლებიც ყველაზე ხშირად არის წარმოდგენილი საკვლევ ჯგუფში და გაკეთებულია შედარებითი ანალიზი რეგიონებს შორის.

არსებული გამოცდილება

ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები უშუალოდ ფულის ხარჯვას, ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამალვასა და აუცილებელი ხარჯებისთვის საჭირო თანხის მიცემას უკავშირდება.

კვლევამ გამოავლინა, რომ ქალების 5-8% ყოფილა ინტიმურ ურთიერთობაში, სადაც შიშისა თუ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო პარტნიორისგან მალავდა, თუ თანხას აჩუქებდნენ ან თავად შეიძენდა რაიმე ნივთს.



გრაფიკი 15. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან

გარდა იმისა, რომ არ უზიარებენ ქალებს ინფორმაციას ოჯახის ბიუჯეტის შესახებ, მისგან მალულად იღებენ ფინანსურ პასუხისმგებლობებს, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს ქალსაც და მის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.



გრაფიკი 16. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #2

გამოკითხული ქალების საშუალოდ 6%-ს (კახეთი 9%, აჭარა 3%) ერთხელ მაინც ჰქონია ისეთი გამოცდილება, როდესაც ინტიმური პარტნიორი/ქმარი არ აძლევდა საჭირო თანხას და ფაქტობრივად ახვეწნინებდა, რომ აუცილებელი თანხა მიეცა. მათი 54% სოფელში ცხოვრობს, საშუალო ასაკი 35 წელია, 56% კი უმუშევარია და მათგან მხოლოდ 21%-ს აქვს სრული უმაღლესი განათლება.

შესწავლილ რეგიონებში მცხოვრები ქალების 8% ყოფილმა თუ ამჟამინდელმა პარტნიორმა ჩააყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ აუცილებელი ნივთების საყიდლადაც კი არ ჰქონდა თანხა.

სურათი განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალების 13%-ს ჰქონია მსგავსი გამოცდილება, ხოლო აჭარაში იგივე მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება.



გრაფიკი 17. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #3

შესწავლილი შემთხვევების 6%-ში ინტიმურმა პარტნიორებმა სხვადასხვა გზებით შეძლეს, რომ ქალი მთლიანად მათზე ყოფილიყო ფინანსურად დამოკიდებული. მათი 61% სოფელში ცხოვრობს და 90%-ს ჰყავს საერთო შვილი/შვილები მამაკაცთან, რომელიც ძალადობდა მასზე ეკონომიკურად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ქალების 28% უკვე განქორწინებულია და საუბრობს წარსულ გამოცდილებაზე.



გრაფიკი 18. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #4

რეგიონების მიხედვით აღნიშნული შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია პროცენტული განაწილება იმ ქალებისა, რომლებსაც გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ამჟამინდელი ან ყოფილი ქმრის/პარტნიორის მხრიდან.



გრაფიკი 19. ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან, #5

ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ქალისათვის ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე, საერთო ბიუჯეტზე ინფორმაციის დამალვა. როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონებს შორის რიგი დებულებების ტესტირების შედეგად განსხვავებული ფონური სურათი გამოიკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ გარკვეული პუნქტები აჭარის რეგიონში ცდომილების ზღვარს ქვემოთ მოექცა, ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია მხოლოდ კახეთის რეგიონის შედეგები.

კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალების 10%-თვის ყოფილ თუ ამჟამინდელ ქმარს/პარტნიორს ხელი შეუშლია, მიეღო ინფორმაცია

საერთო ფინანსური ანგარიშების შესახებ. აჭარის რეგიონში იგივე მაჩვენებელი არ აღემატება 5%-ს.



გრაფიკი 20. გამოკითხული ქალების წილი კახეთში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან

კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარისა და კახეთის რეგიონებში 16-45 ასაკობრივი ჯგუფიდან ოდესმე ფორმალურ თუ არაფორმალურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 14%-ს ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია.

ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის/პარტნიორის მიერ ქალის კუთვნილი თანხის დაუკითხავად აღება. გამოკითხული ქალების 14,1%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია ასეთი გამოცდილება, რაც შესწავლილი პოპულაციის მოცულობის გათვალისწინებით დაახლოებით 20 000 ქალს უდრის.

გამოკითხვის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ქალების 9-10%-თან მიმართებაში ინტიმურ პარტნიორს ერთხელ მაინც

განუხორციელებია ეკონომიკური ძალადობის ის ქმედებები, რაც თანხის ხარჯვას უკავშირდება და რის გამოც ქალების 9% უმალავდა დახარჯული თანხის შესახებ ინფორმაციას პარტნიორს. ქალების დაახლოებით 9% ამბობს, რომ ქმარი/პარტნიორი იმდენად მცირე თანხას აძლევდა პირადი საჭიროებისთვის, რაც შეუძლებელია, საკმარისი ყოფილიყო. ამ ქალების 51% ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება, 56% სოფელში ცხოვრობს, 61% უმუშევარია, 88%-ს კი არ აქვს უმაღლესი განათლება.

16-45 ასაკობრივი ჯგუფიდან ოდესმე ფორმალურ/არაფორმალურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 14%-ს ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია.

ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა პარტნიორის/ქმრის მიერ ქალის კუთვნილი თანხის დაუკითხავად აღება. ქალების 9-10%-თან მიმართებაში ინტიმურ პარტნიორს ერთხელ მაინც განუხორციელებია ეკონომიკური ძალადობის ის ქმედებები, რაც თანხის ხარჯვას უკავშირდება.

რეგიონების მიხედვით სურათი განსხვავებულია და კახეთში უფრო მეტად არის გავრცელებული ეკონომიკური ძალადობა. კახეთის რეგიონში წილი იმ ქალებისა, რომლებსაც ოდესმე ჰყოლიათ ქმარი/პარტნიორი და გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობა ამჟამინდელი ან ყოფილი ქმრის/პარტნიორის მხრიდან, თითქმის ორჯერ აღემატება აჭარის რეგიონში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევის პირველი ჰიპოთეზა დადასტურდა: ქალები ინტიმურ ურთიერთობაში ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები პარტნიორების/ქმრების მხრიდან. შესწავლილ რეგიონებში ყოველ მეშვიდე ქალს გამოუცდია ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმა.

ეკონომიკური ძალადობა დასაქმებულ ქალებში

კვლევის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი სკალის გარდა, რომელიც 36 დებულებისგან შედგებოდა, დასაქმებული ქალებისთვის დამატებით შემუშავდა საზომი ინსტრუმენტი, რომელიც მუშაობაში ხელის შეშლის გამოცდილების იდენტიფიცირებას ახდენდა. აღნიშნული სკალა 8 დებულებისგან შედგებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა ქალისთვის მუშაობის აკრძალვა, რათა შეეზღუდოს მას საკუთარი შემოსავლის ქონა. კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი საკვლევი ჯგუფიდან ყოველ მეხუთე ქალს სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია: ქალს, რომელიც მუშაობს, ქმარი/პარტნიორი ართმევს ხელფასს - გამოკითხული ქალების 21%-ს კახეთის რეგიონში და 15%-ს აჭარაში ერთხელ მაინც ჰქონია ასეთი გამოცდილება.



გრაფიკი 21. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრ. ფორმა

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ კახეთის რეგიონში გამოკითხული ქალების 14%-ის, ხოლო აჭარაში 5%-თვის ყოფილ თუ ამჟამინდელ პარტნიორს შეუშლია ხელი, წასულიყო სამსახურში ან უკრძალავდა წასვლას.

ქალს, რომელიც მუშაობს, პარტნიორი ხელს უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში - აკითხავს სამსახურში, ხშირად ურეკავს ან/და იყენებს კონტროლის სხვა მექანიზმებს (13%, 5%), ხელს უშლის პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, არ აძლევს საშუალებას, დაესწროს ტრენინგებს, წავიდეს მივლინებაში (12%, 5%).



გრაფიკი 22. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრ. ფორმა

ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკური ძალადობის ფორმებს გავრცელების მაჩვენებლით მცირედით ჩამოუვარდება ისეთი ფორმები, როგორებიცაა თანამშრომლებთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაში ხელის შეშლა (6%-9%), მოთხოვნა, რომ ქალს სამსახურისთვის/მუშაობისთვის თავი დაენებებინა, ეჭვიანობა თუ მცდელობები, რომ ქალს უხერხულად ეგრძნო თავი თანამშრომ-ლებთან (6-4%), რაც ერთ-ერთი გამიზნული ქცევაა, აიძულო ქალი, თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე, რომ თავიდან აირიდოს სირცხვილი და უხერხულობა თანამშრომლებთან.



გრაფიკი 23. ქალების წილი თითოეულ რეგიონში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის კონკრეტული ფორმები

დადასტურდა კვლევის მეშვიდე ჰიპოთეზა და კვლევამ გამოავლინა, რომ ქალები განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას პარტნიორების მხრიდან მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ პარტნიორზე/ქმარზე მეტი შემოსავალი.

ყოველ მეხუთე ქალს შესწავლილი საკვლევი ჯგუფიდან ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია ყოფილი ან ამჟამინდელი პარტნიორის მხრიდან.

დასაქმებულ ქალებში ეკონომიკური ძალადობის ყველაზე ხშირად განხორციელებული ფორმაა ქალისთვის საკუთარი ხელ-ფასის წართმევა, სამსახურში წასვლის აკრძალვა და სამუშაო პროცესში ხელის შეშლა.

რეგიონების მიხედვით ფონური სურათი აქაც განსხვავებულია და ქალების წილი, რომლებსაც გამოუცდიათ ეკონომიკური ძალადობის სულ მცირე ერთი ფორმა სამსახურთან და შემოსავალთან დაკავშირებით, კახეთში ორჯერ აღემატება აჭარაში მცხოვრები ქალების წილს.

ეკონომიკური ძალადობა დაშორების პროცესში და შემდგომ

კიდევ უფრო ხშირია ეკონომიკური ძალადობა პარტნიორთან დაშორებისა თუ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ მამაკაცთან განქორწინების შემდეგ. კვლევის ფარგლებში შესწავლილ სხვა ტიპის ეკონომიკურ ძალადობასთან შედარებით ყველაზე მწვავეა ვითარება წყვილის დაშორების/განქორწინების პროცესში.

წყვილის განქორწინების პროცესში თუ შემდგომ პარტნიორები ხშირად იყენებენ ბავშვს, როგორც იარაღს ქალზე შურისძიების მიზნით; იხსნიან საკუთარ შვილებზე პასუხისმგებლობას და ქალის დასჯის ერთგვარი მექანიზმია ალიმენტის გადახდაზე უარის თქმა თუ ბავშვის გაზრდაში ჩართვა/მონაწილეობის მიღება.

გამოკითხული ქალების საშ. 90% ამბობს, რომ დაშორების შემდეგ პარტნიორს უარი უთქვამს ბავშვის მოვლის, გაზრდის პროცესში ჩართვასა და მშობლის მოვალეობის შესრულებაზე.

შესწავლილ შერჩევით ერთობლიობაში ქმრების/პარტნიორების 84%-მა უარი თქვა ალიმენტის გადახდაზე, რაც იურიდიულად არის ხარჯი, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით სარჩენად უნდა უხდიდეს თავისი ოჯახის არასრულწლოვან წევრს. შესაბამისად, მართლდება კვლევის მეხუთე ჰიპოთეზა, რომ ეკონომიკური ძალადობა განქორწინების ან წყვილის განცალკევების შემდეგაც გრძელდება.



გრაფიკი 24. პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები

კვლევამ გამოავლინა, რომ ყოველ მეორე ქალს (50%) დაშორების დროს ქმარი/პარტნიორი აშანტაჟებდა, რომ ფინანსურ ზიანს მიაყენებდა მას.

შესწავლილ შერჩევით ერთობლიობაში ქალების თითქმის მესამედს (39%) ქმარმა/პარტნიორმა დაშორების პროცესში და შემდგომ შეუზღუდა წვდომა პირად ნივთებსა და ქონებაზე. ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას, ესარგებლათ კუთვნილი თუ საერთო ქონებით, საუბარია როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ქონებაზე.

ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას ასევე წარმოადგენს საერთო ან კუთვნილი ქონების წართმევა ქალისთვის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ან მასზე წვდომის შეზღუდვა. დგინდება, რომ დაშორების შემდეგ ქალების დაახლოებით მესამედი რჩება ქუჩაში

და არ აქვს საშუალება, მიიღოს წილი საერთო ქონებიდან. შესწავ-ლილ რეგიონებში ქალების 34%-ს ჰქონია მსგავსი გამოცდილება.



გრაფიკი 25. განქორწინებული ქალების რაოდენობა, რომლებსაც პარტნიორის მხრიდან გამოუცდიათ ეკ. ძალადობის ფორმები

მოცემულ შემთხვევებში სხვაობა რეგიონებს შორის კვლევის შედეგებში არ გამოვლინდა. სურათი თანაბრად მძიმეა ორივე შესწავლილ რეგიონში: როგორც კახეთში (88%), ასევე აჭარის რეგიონში (94%) მცხოვრები ქალების უმრავლესობას ჰქონია გამოცდილება, როცა ქმარი/პარტნიორი უარს ამბობდა ბავშვის მოვლის/გაზრდის პროცესში ჩართულობაზე.

ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლია თითქმის ყოველი მეორე ქალი განქორწინების/ურთიერთობის დასრულების პროცესში. კახეთის რეგიონში გამოკითხული ქალების 58%, რომლებიც დაშორდნენ პარტნიორებს, იყვნენ შანტაჟის ქვეშ, რომ მას დატოვებდნენ ქონების გარეშე. ემუქრებოდნენ, რომ ფინანსური სახსრების გარეშე, მარტოს მოუწევდათ ოჯახზე დაკისრებული ვალების გადახდა. აჭარის რეგიონში იგივე მაჩვენებელი 36%-ს უდრის.

კახეთში შემთხვევების 41%-ში ქალი დაშორების შემდეგ აიძულეს, დაეტოვებინა საერთო სახლი ისე, რომ არც კი აუნაზღაურეს ის თანხა, რაც მან გაიღო სახლის მშენებლობისა თუ რემონტის პროცესში. აჭარის რეგიონში გამოკითხული ქალების 21%-ს ჰქონია მსგავსი გამოცდილება.

კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალების 39%-ს, ხოლო აჭარის რეგიონში - 23%-ს პარტნიორმა/ქმარმა შეუზღუდა წვდომა საკუთარ ან/და საერთო საკუთრებაში არსებულ უძრავ თუ მოძრავ ქონებაზე (მანქანა, აგარაკი და ა.შ.).

კიდევ უფრო მაღალია მაჩვენებელი დანარჩენი პირადი ნივთებისა და ქონების შემთხვევაში. კახეთში მცხოვრები ქალების 52%-ს, ხოლო აჭარაში 17%-ს პარტნიორმა/ქმარმა დაშორების ან განქორწინების შემდეგ შეუზღუდა წვდომა პირად ნივთებსა და ქონებაზე.

კვლევამ გამოავლინა, რომ პარტნიორის/ქმრის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმები ხორციელდება წყვილის დაშორების პროცესში და ინტენსიური ხასიათი აქვს.

განსაკუთრებით ხშირია განქორწინების პროცესში ბავშვის, როგორც შანტაჟის იარაღის გამოყენება. შესწავლილ შერჩევით ერთობლიობაში ქალების უმრავლესობას განუცდია ეკონომიკური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა პარტნიორის მხრიდან ალიმენტის გადახდაზე ან ბავშვის გაზრდის პროცესში მონაწი-ლეობაზე უარის თქმა.

სურათი თანაბრად მძიმეა ორივე შესწავლილ რეგიონში და მსგავსი გამოცდილების მქონე ქალების წილი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

ამ პროცესში განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ასევე ფინანსური შანტაჟი, პირად ნივთებსა და ქონებაზე წვდომის შეზღუდვა და საერთო ქონებით სარგებლობის აკრძალვა. აღნიშნულის ფონზე დასტურდება კვლევის მეორე დაშვებაც, რომ ეკონომიკური ძალადობა განგრძობადია და, როგორც წესი, აქვს სისტემატური ხასიათი.

ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან

როგორც წესი, ქალები ეკონომიკურ ძალადობას განიცდიან ოჯახის სხვა წევრების მხრიდანაც, იქნება ეს საკუთარი თუ ქმრის/პარტნიორის ოჯახის წევრები.

კვლევამ გამოავლინა, რომ ასეთ შემთხვევებში ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებიდან ყველაზე გავრცელებულია ფულის ხარჯვასთან დაკავშირებული უკმაყოფილება და პრობლემები.

სრულად კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქალების 6%-ს განუცდია ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმები ოჯახის სხვა წევრების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრებს შორის ყველაზე დიდი წილი უმეტეს შემთხვევებში მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე.

ფულსა და თანხის ხარჯვას უკავშირდება ეკონომიკური ძალადობის ფორმები, რომლებიც განუცდია გამოკითხული ქალების 5%-ს.

მსგავსად ზემოთ აღწერილი შემთხვევებისა, აქაც მთავარი წილი მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე. დედამთილი და მამამთილი ქალს უქმნიდნენ ისეთ მდგომარეობას (ან ამჟამად უქმნიან), რომ იგი მალავდა შეძენილ ნივთს ან საჩუქრად მიღებულ თანხასა თუ რაიმე ნივთებს.

ამავდროულად, ქალს აძლევდნენ მიზერულ თანხას პირადი საჭიროებისთვის, რაც შეუძლებელი იყო ჰყოფნოდა აუცილებელი, პირადი ნივთების შესაძენად თუ ე.წ. ჯიბის ფულად, ან უშლიდნენ საკუთარი ფულის ხარჯვას.

ყოფილა შემთხვევები, როცა ქალს საკუთარი თუ ქმრის მშობლები უკიდურეს მდგომარეობაში აგდებდნენ და ფაქტობრივად ახვეწნინებდნენ, რომ მისთვის მიეცათ აუცილებელი ნივთებისთვის საჭირო თანხა ან ე.წ. ჯიბის ფული.

კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი შერჩევითი ერთობლიობიდან კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალების 6-8%-ს სულ ცოტა ერთხელ მაინც გამოუცდია ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. აჭარის რეგიონში კი იგივე მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლებია ეკონომიკური ძალადობის შემთხვევები საკუთარი დედმამიშვილების მხრიდან. ეკონომიკური ძალადობის ყველა შესწავლილ ფორმაში ქალის დასა თუ ძმაზე ყველაზე მცირე წილი მოდის.



გრაფიკი 26. ოჯახის წევრების პროცენტული განაწილება, რომლებიც ახორციელებდნენ ქალზე ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმას

ქალს სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში ხელს უშლიდნენ როგორც საკუთარი, ასევე ქმრის მშობლები, აფერხებდნენ, რომ დაეწყო სამსახური (კახეთი 13%, აჭარა 3%).

მსგავსი ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ ვერ შეძლოს ქალმა, იყოს პროფესიულად შემდგარი, ჰქონდეს კარიერა და საკუთარი შემოსავალი. ფინანსურად მათზე სრულად დამოკიდებულს ხდიან მსხვერპლს, რომ მან დამოუკიდებლად ვერ შეძლოს ცხოვრება.

კვლევამ ასევე გამოავლინა შემთხვევები, როდესაც დასაქმებულ ქალებს ართმევდნენ ხელფასს, აიძულებდნენ ვალის გადახდას ან აგდებდნენ ისეთ სიტუაციაში, რომ იგი იძულებული იყო, დაემალა თავისი რეალური შემოსავალი.

ასეთ შემთხვევებშიც ყველაზე დიდი წილი მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე. კახეთის რეგიონში ასეთი შემთხვევების რაოდენობა გამოკითხულთა 5-6%-ში გამოვლინდა, აჭარის რეგიონში კი იგივე მაჩვენებელი ნაკლებია.

პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებასა და ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას შორის იკვეთება კორელაციური კავშირი და გამართლდა ჰიპოთეზა #3, რომ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპ-ლებს განუცდიათ იგივე ხასიათის ძალადობა ოჯახის სხვა წევრის ან/და წევრების მხრიდან. კორელაცია შემოწმდა პირსონის სკალაზე და გამოვლინდა საშუალო სიძლიერის კორელაციური კავშირი $r = 0.48$, $p < 0.05$.

ეკონომიკური ძალადობის ფორმებიდან აღნიშნულ ჯგუფში ყველაზე გავრცელებულია ფულის ხარჯვასთან დაკავშირებული უკმაყოფილება და პრობლემები - ოჯახის წევრებს არ მოსწონდათ, ფულს როგორ ხარჯავდა ქალი ან ისეთ სიტუაციას ქმნიდნენ, რომ ქალი იძულებული იყო, არ ეთქვა, რა გადაიხადა რეალურად ნივთის შესაძენად.

სხვა ფორმებთან შედარებით მეტად გავრცელებულია ასევე ქალის კუთვნილი ფულის კონტროლი. ოჯახის წევრებს შორის ყველაზე დიდი წილი უმეტეს შემთხვევებში მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე.

ძალადობის სხვა ფორმები

ეკონომიკური ძალადობა რიგ შემთხვევებში არ არის ძალადობის ერთადერთი ფორმა, რომელსაც ქალები განიცდიან ინტიმური პარტნიორის მხრიდან. როგორც წესი, ეკონომიკურ ძალადობას თან ახლავს ფსიქოლოგიური ძალადობა და, შესაძლოა, ფიზიკურიც.

შესწავლილ შერჩევით ერთობლიობაში ქალების 44% ერთხელ მაინც ყოფილა ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან. გამოკითხულთა 31%-ს იშვიათად, თუმცა მაინც ეხებოდნენ ხელით მშობლები. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ქალები უმეტესად მილენიალების თაობას წარმოადგენენ და მოცემულ ასაკობრივ კატეგორიაში მეტ-ნაკლებად მცირეა მშობლების მხრიდან შვილზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები X თაობასთან შედარებით.



გრაფიკი 27. ბავშვობაში ქალზე განხორციელებული ფიზ. ძალადობა

თუმცა, რესპონდენტები აღნიშნულ გამოცდილებაზე მარტივად საუბრობდნენ და ემოციური ფონი არ ახლდა თან. მშობლის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას ისინი არ იხსენებდნენ მტკივნეულად. ბავშვზე ფიზიკური ძალადობის მიზეზები, როგორც წესი, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ პრაქტიკებშია და წლების წინ საქართველოშიც არ აღიქმებოდა მნიშვნელოვან პრობლემად. სურათი მოცემულ შემთხვევაშიც განსხვავდება რეგიონების მიხედვით. კახეთში შესწავლილი ასაკობრივი ჯგუფიდან ყოველ მეორე ქალს (54%) ჰქონია ასეთი გამოცდილება, აჭარაში იგივე მაჩვენებელი 34%-ს შეადგენს.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ქალები ინტიმური პარტნიორის, ქმრის მხრიდან ყოფილან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპ-ლებიც. გამოკითხული ქალების 13%-ს ჰქონია პარტნიორის შიში, რაც გამოწვეულია მუქარითა თუ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმებით.



გრაფიკი 28. პარტნიორების მხრიდან განხორციელებული ძალადობის სხვა ფორმები

გამოკითხული ქალების 7% ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი პარტნიორის/ქმრის მხრიდან, რაც ძალადობის უკიდურესი ფორმაა. აღსანიშნავია, რომ თემის სენსიტიურობისა და სტიგმის გამო ქალები ნაკლებად საუბრობენ ამ საკითხზე და რეალური მაჩვენებელი შესაძლოა უფრო მაღალი იყოს.

ქმრების/პარტნიორების 22% იყო აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული იმ დროისათვის, როცა ის ძალადობდა ცოლზე/პარტნიორზე და ასეთი შემთხვევების 90%-ში ოჯახის ბიუჯეტს ტვირთად აწვებოდა თამაშში დახარჯული თანხა. 11% იღებდა ნარკოტიკულ საშუალებებს, ხოლო 49% აქტიურად მოიხმარდა სხვადასხვა ალკოჰოლურ სასმელს. ძალადობის მსხვერპლი ქალების 22%-მა განაცხადა, რომ ქმარს ჰყავდა სხვა ინტიმური პარტნიორი იმ პერიოდში, როდესაც ის ძალადობდა ქალზე.

გამოკითხული ქალების 10,4% იხსენებს, რომ ქმარს/პარტნიორს შეურაცხყოფა მიუყენებია მისთვის სხვების თანდასწრებით. ისეთი ფორმით მიუმართავს ან მოქცეულა, რომ ქალმა თავი დამცი-რებულად იგრძნო გარშემომყოფთა წინაშე.

ქალების თითქმის 10%-ს გამოუცდია პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთი ფორმები, რაც ქალის თვითშეფასების ნგრევას იწვევს - ცუდი წარმოდგენა შეუქმნა საკუთარ თავზე.



გრაფიკი 29. პარტნიორების მხრიდან განხორციელებული ძალადობის სხვა ფორმები

კვლევამ ასევე გამოავლინა სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რომელთა შორის ყველაზე დიდი წილი მოდის იძულებით სქესობრივ კავშირზე.

შედეგად, გამართლდა კვლევის მეოთხე ჰიპოთეზა, რომ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები გამხდარან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლებიც ინტიმური პარტნიორისა თუ ოჯახის სხვა წევრის მხრიდან. კორელაცია შემოწმდა პირსონის სკალაზე და გამოვლინდა ძლიერი კავშირი $r = 0.654$, $p < 0.05$.

კვლევით დასტურდება, რომ აჭარისა და კახეთის რეგიონებში პარტნიორის/ მეუღლის მხრიდან ძალადობა გავრცელებული ფენომენია ქალების ცხოვრებაში. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 16-45 წლის ასაკის ქალების დაახლოებით 7%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობა, ხოლო 5%-ს სექსუალური ძალადობა გამოუცდია.

ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 16-45 წლის ქალების 6%-ს პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის (ან სამივე) მინიმუმ ერთი აქტი აქვს გამოცდილი სიცოცხლის მანძილზე.

აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, ძალადობის მძიმე ფაქტების შესახებ ნაკლებად საუბრობენ ქალები ისეთი ბარიერების გამო, როგორებიცაა სტიგმა, სირცხვილი ან შიში და რეალური სურათი მეტად მწვავეა.

ეკონომიკური ძალადობა ეთნიკურ უმცირესობებში

წინამდებარე თავში ცალკეულად არის გაანალიზებული ეკონომიკური ძალადობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში.

დემოგრაფიული პროფილი

რესპონდენტებისა და ამჟამინდელი/ყოფილი პარტნიორების დეტალური სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები არსებითად არ განსხვავდება საერთო ფონური მახასიათებლებისგან. ძირითადი განსხვავება ვლინდება ქალების განათლების დონესა და დასაქმების სტატუსთან დაკავშირებით:

განათლების მიღწეული საფეხური:	ეთნ. უმცირესობა	საერთო ფონური სურათი
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო)	64%	9%
სრული ზოგადი განათლება (სრული საშუალო)	28%	38%
პროფესიული/ტექნიკური განათლება	1%	21%
არასრული უმაღლესი განათლება	2%	2%
სრული უმაღლესი განათლება	5%	30%

თქვენი სამუშაო სტატუსი ამ ეტაპზე		
ვარ უმუშევარი	87%	60%
დასაქმებული ვარ საჯარო სექტორში	2%	14%
დასაქმებული ვარ კერძო სექტორში	4%	20%
ვმუშაობ ძიძად/ოჯახში დამხმარედ	0%	0.1%
მაქვს საკუთარი ბიზნესი (ბიზნესი, სადაც სხვებიც მყავს დასაქმებული)	1%	2%
ვარ თვითდასაქმებული (დამოუკიდებლად ვაკეთებ ნივთებს/პროდუქტს და ვყიდი)	6%	4%

ცხრილი 9. დემოგრაფიული მონაცემები - ეთნ. უმცირესობები

ეკონომიკური ძალადობა - იდენტიფიცირება

ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის შეფასების სკალაზე, რომელიც 11 დებულებისაგან შედგებოდა, გამოკითხული ქალები აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას თითოეულ დებულებაზე.

ქალების 67%-68% არ თვლის ეკონომიკურ ძალადობად ფაქტს, როდესაც მეუღლეს/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის შემოსავალზე ან ხელს უშლის მას საკუთარი ქონების განკარგვაში.

გამოკითხული ქალების 60% ეკონომიკურ ძალადობად მიიჩნევს მხოლოდ უკიდურესად აგრესიულ ქმედებას, როცა მეუღლე/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს, ქონებას.

ეკონომიკურ ძალადობას ვერ ხედავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების 66% ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქალი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე.

დაბალია ასევე ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის მაჩვენებელი ისეთ ქმედებებში, როგორებიცაა: ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს, დახარჯოს საკუთარი ფული, ქმარი/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის. გამოკითხული ქალების 63% არ მიიჩნევს დასახელებულ ორ დებულებას ეკონომიკურ ძალადობად.

შესწავლილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ქალების 45% არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად ქმედებას, როცა ქმარი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე.

გამოკითხული ქალები თითქმის ნახევარი ეკონომიკურ ძალადობად არ მიიჩნევს ქმრის ქმედებას, როდესაც ის აიძულებს ცოლს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები.

გამოკითხულთა 20% ზემოთ ჩამოთვლილი 11 დებულებიდან არც ერთ მათგანს არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე ქალი საერთოდ ვერ ახდენს ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირებას.

არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობად	ეთნ. უმცირესობა	საერთო სურათი
მეუღლე/პარტნიორს აქვს სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე	68%	18%
მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს საკუთარი ქონების განკარგვაში	67%	17%
მეუღლე/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულიად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე	66%	19%
მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს, დახარჯოს საკუთარი ფული	63%	16%
მეუღლე/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის	63%	40%
მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში	57%	19%
მეუღლე/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს დასაქმებაში	54%	18%
მეუღლე/პარტნიორი აიძულებს ცოლს/პარტნიორს, სრულად დაფაროს მთელი ოჯახის ხარჯები (საკვები, ნივთები)	53%	12%
მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე	50%	27%
ყოფილი მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე	45%	10%
მეუღლე/პარტნიორი განზრახ აზიანებს/ანადგურებს ცოლის/პარტნიორის პირად ნივთებს, ქონებას	40%	11%

ცხრილი 10. ეკ. ძალადობის ამოცნობა ეთნ. უმცირესობების წარმომადგენლებში

ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

კვლევის ფარგლებში მოხდა ეთნიკურ უმცირესობებში შინამეურნეობებში არსებული მდგომარეობის შესწავლა. შეფასდა ქალების მდგომარეობა, მათი ჩართულობა ოჯახში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხული ქალების 54%-ს აქვს/ჰქონდა შესაძლებლობა, ჩართულიყო ოჯახში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ჩამოუვარდება საერთო მაჩვენებელს. მთლიან შესწავლილ ერთობლიობაში ქალების 81% ოჯახში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს/იღებდა პარტნიორთან/ქმართან ერთად.



გრაფიკი 30. ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

დადგინდა, რომ შესწავლილი შემთხვევების 34%-ში ოჯახის შემოსავლის დიდ ან მთლიან ნაწილს ქმარი/პარტნიორი განკარგავს, 40% შემთხვევებში კი ქალიც მონაწილეობს თანხის ხარჯვის ნაწილში.

მთლიან შერჩევით ერთობლიობაში კი ქალების 16% ამბობდა, რომ შემოსავლის ძირითად ნაწილს ქმარი/პარტნიორი განკარგავს, ხოლო ქალების 46% თავადაც არის ჩართული ამ პროცესში.



გრაფიკი 31. ეთნ. უმცირესობების წარმ. ქალების ჩართულობა ოჯახის ფინანსების მართვაში

შესწავლილი შემთხვევების 77%-ში საერთო ხარჯებს, როგორებიცაა კომუნალური გადასახადები, საკვები, საყოფაცხოვრებო ქიმია და ა.შ. ქმარი/პარტნიორი იხდის (სრულად და ძირითად ნაწილს), რაც შეესაბამება ოჯახის ფინანსურ სურათს. ამ ოჯახებში გამოკითხული ქალების 73%-მა განაცხადა, რომ მხოლოდ ქმარს აქვს შემოსავალი. აღნიშნულს ემატება თემში გავრცელებული „წესები“ და სოციალურ-კულტურული ფაქტორები. გამოკითხული ქალები ყველაზე ხშირად აფიქსირებდნენ მიზეზებს, რომ მათ სოფელში მაღაზიაში ქალს მარტო არ უშვებენ ან ქალს არ აქვს თანხა.



გრაფიკი 32. ეთნ. უმცირესობების წარმ. ქალების ჩართულობა ოჯახის ხარჯებში

ეკონომიკური ძალადობის შეფასების სკალა ეთნიკურ უმცირესობებში

ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება შეფასდა 36 დებულებისგან შემდგარ სკალაზე. საერთო სურათისგან განსხვავებული შედეგები აღნიშნულ კომპონენტშიც გამოვლინდა.

მთლიან შერჩევით ერთობლიობაში გამოკვეთილი სურათის მსგავსად, ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებში არის ქმრის/პარტნიორის მიერ საერთო თანხის დაუკითხავად აღება. ამ ჯგუფში გამოკითხული ქალების 30%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია ასეთი გამოცდილება.

გამოკითხვის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ქალების 20-21%-თან მიმართებაში ქმარს ერთხელ მაინც განუხორციელებია ეკონომიკური ძალადობის ის ქმედებები, რაც თანხის ხარჯვას უკავშირდება.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების დაახლოებით 15% ამბობს, რომ პარტნიორი/ქმარი იმდენად მცირე თანხას აძლევდა პირადი საჭიროებისთვის, რომ შეუძლებელია, საკმარისი ყოფილიყო. 17%-18%-ს ქმარი არ აძლევდა ინფორმაციას ოჯახის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკური ძალადობის სხვა ყველაზე გავრცელებული ფორმები ეთნიკურ უმცირესობებშიც უშუალოდ ფულის ხარჯვას, ქალისთვის ფინანსებზე წვდომის შეზღუდვას უკავშირდება.

კვლევის შედეგად დადგინდა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების 6%-8% შიშსა თუ ოჯახში არსებული მდგომარეობის გამო ქმრისგან მალავდა, თუ თანხას/რაიმე ნივთს აჩუქებდნენ ან თავად შეიძენდა რამეს. მაჩვენებელი შედარებით დაბალია მთლიანი რეგიონის მონაცემებთან, რადგან ქალებს არ აქვთ წვდომა ფინანსებზე, არ არიან დასაქმებულები და, შესაბამისად, არ აქვთ საკუთარი შემოსავალი.

თემში არსებული სოციალურ-კულტურული ფაქტორების გამო გამოკითხულებში დაბალია ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როგორიცაა, მაგალითად, ექიმთან ვიზიტის აკრძალვა. ქალების 6%-მა განაცხადა, რომ ჰქონია ასეთი შემთხვევა. რესპონდენტების თქმით, ისინი არც გამოთქვამდნენ ექიმთან დამოუკიდებლად ვიზიტზე სურვილს, რადგან მათ სოფელში ეს არ არის მიღებული.

	ეთნ. უმცირესობა	*საერთო სურათი*
ჩემგან დაუკითხავად აიღო ჩემი ფული/საერთო ფული	30%	14%
არ მაძლევდა ინფორმაციას ოჯახის საერთო ანგარიშზე არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ (მაგ: რამდენი ფული გვაქვს დარჩენილი ანგარიშზე თვის ბოლომდე და ა.შ)	17%	7%
ხელი შემიშალა, მიმეღო ინფორმაცია ჩვენი საერთო ფინანსური ანგარიშების შესახებ	18%	6%
ჩამაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ მქონდა ფული აუცილებელი ნივთების საყიდლად (საკვები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ.)	21%	8%

ხელი შემიშალა სწავლაში, პროფესიულ განვითარებასა და ზრდაში	11%	4%
ამიკრძალა ექიმთან მისვლა	6%	1%
არ მოსწონდა, ფულს როგორ ვხარჯავდი	20%	9%
ისეთ სიტუაციაში ვიყავი, რომ ვმალავდი, რამეს თუ ვიყიდდი	11%	7%
ისეთ სიტუაციას ქმნიდა, რომ იძულებული ვიყავი, არ მეთქვა რა გადავიხადე რეალურად ნივთის შესაძენად	8%	8%
არ ვეუბნებოდი, თუ ვინმე მჩუქნიდა ფულს	8%	7%
ისეთი სიტუაცია იყო, რომ ვინმე თუ საჩუქარს მაჩუქებდა , არ ვამბობდი	6%	4%
საერთო ფული ან ჩემი ფული დააბანდა/დახარჯა ჩემთან შეუთანხმებლად	8%	7%
მიშლიდა ჩემი ან საერთო ფულის ხარჯვას	9%	5%
ფაქტობრივად მახვეწნინებდა, რომ ფული მოეცა	14%	6%
იმდენად ცოტა ფულს მაძლევდა, რომ შეუძლებელია მყოფნოდა პირადი საჭიროებისთვის (ჯიბის ფულად)	15%	8%
განზრახ გაანადგურა/დააზიანა ჩემი პირადი ნივთები ან ქონება	7%	3%
არ მომცა თანხა საჭმლისთვის ან სხვა ოჯახური ხარჯებისთვის	11%	4%

ცხრილი 11. გამოცდილი ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმები

ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფაქტების გავრცელება არა მხოლოდ ქმრის/პარტნიორის, არამედ ოჯახის სხვა წევრების მხრიდანაც. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია ყველაზე ხშირად დასახელებული შემთხვევები, რაც ქალებს გამოუცდიათ ოჯახის სხვადასხვა წევრების მხრიდან. სრულ შერჩევით ერთობლიობაში აღნიშნული მაჩვენებელი ორჯერ ნაკლებია.



გრაფიკი 33. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #1

აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრებს შორის ყველაზე დიდი წილი უმეტეს შემთხვევებში მოდის ქმრის/პარტნიორის მშობლებზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რაც ფინანსურ მდგომარეობას და თანხის ხარჯვას უკავშირდება.



გრაფიკი 34. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მიხ.

დედამთილი და მამამთილი ქალს უქმნიდნენ ისეთ მდგომარეობას, რომ იგი მალავდა შეძენილ ნივთს ან საჩუქრად მიღებულ თანხასა თუ ნივთებს. ამავდროულად ქალს არ აძლევდნენ თანხას პირადი საჭიროებისთვის ან აძლევდნენ იმდენად ცოტას, რომ შეუძლებელი იყო, ჰყოფნოდა აუცილებელი, პირადი ნივთების შესაძენად თუ ე.წ. ჯიბის ფულად. აღნიშნული შედეგებიც თითქმის ორჯერ აღემატება საერთო ჯგუფის მონაცემებს.



გრაფიკი 35. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #2

რაც შეეხება უშუალოდ ქალის მშობლებს, მათი მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის ფორმები უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში ხელის შეშლას, ფინანსურ დამოუკიდებლობას.



გრაფიკი 36. ეკ. ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ეთნ. უმცირესობებში #3

ზემოთ მოცემული უკვე დაკავშირებულია სოციალურ თუ კულტურულ ფაქტორებს. კვლევამ ნაკლებად გამოავლინა ეკონომიკური ძალადობის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალებს ართმევდნენ ფულს, აიძულებდნენ ვალის გადახდას ან აგდებდნენ ისეთ სიტუაციაში, რომ იგი იძულებული იყო, დაემალა თავისი რეალური შემოსავალი - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ სამსახური და, შესაბამისად, საკუთარი შემოსავალი.

ძალადობის სხვა ფორმები

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ძალადობის სხვა ფორმებიც, რომლებიც განუცდიათ ქალებს ინტიმური პარტნიორისა თუ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან.

სამიზნე ჯგუფში გამოკითხული ქალების 51% ერთხელ მაინც გამხდარა ბავშვობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მშობლების მხრიდან.



გრაფიკი 37. ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა შობლების მხრიდან #2

გამოკითხულთა 36%-ს იშვიათად, თუმცა მაინც ეხებოდნენ ხელით მშობლები.ეთნიკურ უმცირესობებში გამოკითხული ქალების 38%-მა განაცხადა, რომ ურთიერთობაში ერთხელ მაინც შეშინებია თავისი ქმრის/პარტნიორის, რაც რეგიონის ჯამურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. აჭარასა და კახეთში მცხოვრები ქალების 13%-ს

ჰქონია პარტნიორის შიში, რაც გამოწვეულია მუქარითა თუ ფსიქო-ლოგიური ძალადობის სხვა ფორმებით.



გრაფიკი 38. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან #2

კვლევამ ასევე გამოავლინა ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების 24%-მა განაცხადა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაურტყამს მისთვისპარტნიორს და გამხდარა ძალადობის უკიდურესი ფორმის მსხვერპლი

შესწავლილი ორი რეგიონის ჯამურ მაჩვენებელს აღნიშნული მონაცემიც ბევრად აღემატება, ეთნიკურ უმცირესობებში სამჯერ მეტია ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობა



გრაფიკი 39. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნ. უმცირესობებში, #2

ეთნიკურ უმცირესობებში გამოკითხული ქალების 25%-მა განაცხადა, რომ ქმარს/პარტნიორს შეურაცხყოფა მიუყენებია მისთვის სხვების თანდასწრებით, უხეში/შეურაცხმყოფელი ფორმით მიუმართავს ან მოქცეულა ისე, რომ ქალმა თავი დამცირებულად იგრძნო გარშემომყოფთა წინაშე.

აღნიშნულ ჯგუფში ქალების 21% იხსენებს, რომ საკუთარ თავზე ცუდი/უარყოფითი წარმოდგენა შეჰქმნია, რადგანაც ქმარს მიუყენებია მისთვის შეურაცხყოფა ამ მიზნით.

კვლევამ ასევე გამოავლინა ფაქტები, როდესაც ქმარი/პარტნიორი გამიზნულად აზიანებს ქალისათვის მნიშვნელოვან ნივთებს (7%).



გრაფიკი 40. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნ. უმცირესობებში, #3

პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ძალადობის სხვა ფორმები ასევე უკავშირდება სექსუალურ ძალადობასაც. გამოკითხული ქალების 6% იხსენებს, რომ ქმარმა სცადა ან აიძულა სქესობრივი კავშირი, როდესაც ქალს არ ჰქონდა ამისი სურვილი.



გრაფიკი 41. სხვა სახის ძალადობა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ეთნ. უმცირესობებში, #4

გამოკითხული ქალების მხოლოდ 18%-მა განაცხადა, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც მასზე ძალადობდა, ქმარს/პარტნიორს ჰყავდა სხვა ინტიმური პარტნიორი ან მიდრეკილი იყო ნარკოტიკული საშუალებების, აზარტული თამაშებისა თუ ალკოჰოლის მიმართ. გამოკითხულთა 60%-მა განაცხადა, რომ მისი ქმარი/პარტნიორი რელიგიურია (მისდევს რელიგიურ კანონებს, იცავს მარხვას).

ისლამის მიხედვით ისეთი ქმედებები, როგორებიცაა აზარტული თამაშები, ნარკოტიკული საშუალებები, ალკოჰოლი, სხვა ინტიმური პარტნიორები - ცოდვაა. რეგიონების ჯამურ მაჩვენებლებთან შედარებით ეთნიკურ უმცირესობებში „მავნე ჩვევების“ მქონე პარტნიორების რაოდენობის სიმცირე შესაძლოა ზემოთ დასახელებული ფაქტორითაც იყოს გამოწვეული.

კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარისა და კახეთის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიდან ოდესმე ფორმალურ თუ არაფორმალურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 52%-ს ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია (აგრეგირებული ანალიზის შემთხვევაში აღნიშნული მონაცემი 14%-ს უდრის).

კვლევამ გამოავლინა, რომ ეთნიკურ უმცირესობებში გამოკითხული ქალების თითქმის ნახევარს არ აქვს/ჰქონდა შესაძლებლობა, ჩართულიყო ოჯახში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული მაჩვენებელი მთლიან შერჩევით ერთობლიობაში 20%-ს არ აღემატება.

დადასტურდა კვლევის მეხუთე ჰიპოთეზაც და გამოვლინდა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას $t(1498) = -2.153$, $p < 0.05$.

ეკონომიკური ძალადობა რელიგიურ უმცირესობებში

კვლევის ფარგლებში ცალკეულად გაკეთდა ეკონომიკური ძალადობის ანალიზი არააზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში.

დემოგრაფიული პროფილი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია რესპონდენტების დეტალური სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი. გაკეთდა შედარებითი ანალიზი საერთო ფონურ მახასიათებლებთან. რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებში დეტალურად არის აღწერილი ის მახასიათებლები, სადაც ყველაზე დიდი სხვაობები გამოიკვეთა: პარტნიორული ურთიერთობების სტატუსი, განათლების მიღწეული საფეხური და სამუშაო მდგომარეობა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს თქვენს ოჯახურ მდგომარეობას?	რელ. უმცირესობა	საერთო სურათი
დაქორწინებული	95%	87%
განქორწინებული	1.5%	4%
ქვრივი	1%	2%
ვცხოვრობ პარტნიორთან	1.5%	3%
დაშორებული	1%	4%

ცხრილი 12. რესპონდენტის ოჯახური მდგომარეობა რელიგიურ უმცირესობებში

განათლების მიღწეული საფეხური:	რელ. უმცირესობა	საერთო სურათი
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო)	7%	9%
სრული ზოგადი განათლება (სრული საშუალო)	53%	38%
პროფესიული/ტექნიკური განათლება	18%	21%
არასრული უმაღლესი განათლება	1%	2%
სრული უმაღლესი განათლება	21%	30%

ცხრილი 13. რესპონდენტისა და პარტნიორის განათლების დონე რელიგიურ უმცირესობებში

გამოკითხული ქალების ნახევარს აქვს მხოლოდ საშუალო განათლება, ერთიან შერჩევით განაწილებაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 38%-ს შეადგენს. განსხვავებულია ასევე დასაქმების მაჩვენებლები - გამოკითხულთა 65% უმუშევარია.

თქვენი სამუშაო სტატუსი ამ ეტაპზე	რელ. უმცირესობა	საერთო სურათი
ვარ უმუშევარი	65%	60%
დასაქმებული ვარ საჯარო სექტორში	18%	14%
დასაქმებული ვარ კერძო სექტორში	14%	20%
ვმუშაობ ძიძად/ოჯახში დამხმარედ	0%	0,1%
მაქვს საკუთარი ბიზნესი (ბიზნესი, სადაც სხვებიც მყავს დასაქმებული)	1%	2%
ვარ თვითდასაქმებული (დამოუკიდებლად ვაკეთებ ნივთებს/პროდუქტს და ვყიდი)	2%	4%

ცხრილი 14. რესპონდენტისა და პარტნიორის სამუშაო სტატუსი რელიგიურ უმცირესობებში

ეკონომიკური ძალადობა - იდენტიფიცირება

ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის შეფასების სკალაზე, რომელიც 11 დებულებისაგან შედგებოდა, გამოკითხული ქალები აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას თითოეულ დებულებაზე. გამოკითხული ქალების საშუალოდ 17% ვერ ახდენს ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირებას. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ყველაზე დიდი რაოდენობა, ქალების 39% დასახელებული 11 ქმედებიდან არ თვლის ეკონომიკურ ძალადობად ფაქტს, როდესაც ქმარი/პარტნიორი დამოუკიდებლად იღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს ოჯახში ისე, რომ არ უთანხმებს არავის.

ეკონომიკურ ძალადობას ვერ ხედავს რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების 24% იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე/პარტნიორი უარს ამბობს ბავშვის მოვლაში დახმარებაზე.

გამოკითხული ქალების თითქმის 20% არ თვლის ეკონომიკურ ძალადობად ფაქტს, როდესაც ქმარი/პარტნიორი ხელს უშლის ცოლს/პარტნიორს განათლების მიღებაში ან/და დასაქმებაში; ასევე ძალადობად არ აღიქმება შემთხვევა, როდესაც ცოლი/პარტნიორი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ სრულად არის ფინანსურად დამოკიდებული ქმარზე/პარტნიორზე.

გამოკითხული ქალების 17%-ს არ მიაჩნია ეკონომიკურ ძალა-დობად ქმრის/პარტნიორის სრული კონტროლი ცოლის/პარტნიორის შემოსავალზე.

ნაკლებად ამოიცნეს ქალებმა ეკონომიკური ძალადობა ისეთ ქმედებებში, როგორებიცაა ქმრის/პარტნიორის მხრიდან ცოლისთვის საკუთარი ქონების განკარგვაში ან თავისი ფულის დახარჯვაში ხელის შეშლა.

აღნიშნული მაჩვენებლები არსებითად არ განსხვავდება საერთო სურათისგან და ეკონომიკური ძალადობის ამოცნობის დონე თითქმის თანაბარია.

ეკონომიკური ძალადობა პარტნიორის მხრიდან

კვლევის ფარგლებში ცალკეულად გაკეთდა ქმრის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის ფაქტების ანალიზი არააზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში. კვლევამ არ გამოავლინა არსებითი განსხვავება აღნიშნული ჯგუფისა და მთლიანი შერჩევითი ერთობლიობის შედეგებს შორის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სხვა ფაქტებთან შედარებით უფრო მეტად გამოვლენილი შემთხვევები. აღნიშნული ფაქტები უკავშირდება დასაქმებას - სამუშაო პროცესში ხელშეშლა, მუშაობის აკრძალვა და ა.შ.

რელიგიური უმცირესობებში ქალების 19%-ს ყოფილი თუ ამჟამინდელი ქმარი/პარტნიორი სთხოვდა, მისთვის მიეცა საკუთარი ხელფასი სრულად ან ნაწილობრივ. დასაქმებული ქალების 10%-ს ქმარი/პარტნიორი ხელს უშლიდა თანამშრომლებთან ურთიერთობაში და ამ მხრივ უქმნიდა დისკომფორტს, რაც ეჭვიანობითაა

გამოწვეული ან მიმართულია იქითკენ, რომ ქალმა დაკარგოს სამსახური და ფინანსურად სრულად დამოკიდებული გახდეს კაცზე.

სხვა ფორმებთან შედარებით მეტად გავრცელებული ეკონომიკური ძალადობის კიდევ ერთი ფორმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლას უკავშირდება. გამოკითხულთა 9% იხსენებს, რომ ქმარს შეუშლია მისთვის ხელი, წასულიყო მივლინებაში ან ტრენინგზე, სადაც ღამითაც მოუწევდა დარჩენა.

გქონიათ ასეთი შემთხვევები თქვენი ბოლო/ამჟამინდელი პარტნიორის /მეუღლის მხრიდან	**დიახ**	**არა**
ხელს მიშლიდა წავსულიყავი სამსახურში	5%	95%
მოითხოვდა, თავი დამენებებინა სამსახურისთვის	3%	97%
მთხოვდა, მიმეცა ჩემი ხელფასი (სრულად ან ნაწილობრივ)	19%	81%
სამსახურში ყოფნისას სამუშაო პროცესში ხელს მიშლიდა ხშირი რეკვებით, სამსახურში მოკითხვებითა და კონტროლის სხვა საშუალებებით	7%	93%
უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა თანამშრომლებთან	2%	98%
ეჭვიანობდა თანამშრომელზე	5%	95%
ხელს მიშლიდა თანამშრომლებთან ურთიერთობაში	10%	90%
ხელს მიშლიდა, წავსულიყავი მივლინებაში, ტრენინგზე ღამის თევით	9%	91%

ცხრილი 15. ყველაზე ხშირად განმეორებადი ეკ. ძალადობის ფორმები არაზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში

ძალადობის სხვა ფორმები

ცალკეული ანალიზი გაკეთდა ასევე არააზერბაიჯანულენოვან რელიგიურ უმცირესობებში ძალადობის სხვა ფორმებზე, რაც ქალებს გამოუცდიათ ქმრის/პარტნიორის თუ ოჯახის სხვა წევრის მხრიდან. კვლევამ არ გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობა საერთო შერჩევითი ერთობლიობის მონაცემებთან.

კვლევამ გამოავლინა, რომ აღნიშნულ ჯგუფში გამოკითხული ქალების თითქმის მესამედი იხსენებს, რომ ბავშვობაში გამხდარან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლები მშობლების მხრიდან.

ქმრის/პარტნიორის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევები არსებითად არ განსხვავდება სრული საკვლევი ჯგუფის შედეგებისგან და რიგ შემთხვევაში ცდომილების ზღვარში ექცევა.

დადგინდა, რომ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების 12%-ს ურთიერთობის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოუცდია ისეთი ქმედებები, როგორებიცაა იძულებითი სქესობრივი კავშირი ქმართან ფიზიკური ძალადობის ან მუქარის გამო, დამცირება მარტო ან გარშემომყოფების წინაშე ან მისთვის მნიშვნელოვანი ნივთების დაზიანება/განადგურება

ნაწილობრივ გამართლდა კვლევის მეექვსე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები უფრო მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას t(1522) = 2.481, p < 0.05.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ცალკე აღებული არააზერბაიჯანულენოვანი რელიგიური უმცირესობების შემთხვევაში ჯამური სურათისგან არსებითად განსხვავებული სურათი არ ვლინდება.

ასეთ შემთხვევებში განსხვავებულია შედეგები დასაქმებულ ქალებში. კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარისა და კახეთის რეგიონებში 16-45 ასაკობრივი ჯგუფიდან, რომლებიც წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობებს (არააზერბაიჯანულენოვანი), მაგალითად, ოდესმე ფორმალურ თუ არაფორმალურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებიდან ყოველი მეხუთე განიცდის ან ადრე გამოუცდია ეკონომიკური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა საკუთარი შემოსავ-ლის, ხელფასის გამორთმევა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, თანამშრომლებთან ურთიერთობისა თუ მივლინებაში წასვლის უფლების შეზღუდვა.

დანართები

დანართი #1. კვლევის შედეგებისა და აღწერის შედარებითი ანალიზი

შესწავლილ შერჩევით ერთობლიობაში ქალისა და მისი ინტიმური პარტნიორის შემოსავლების თანაფარდობა განხორციელებული ძალადობის პერიოდისთვის უმეტეს შემთხვევაში მკვეთრია. გამოკითხული შინამეურნეობების 46%-ში წყვილს შორის მხოლოდ ქმარს/პარტნიორს აქვს ყოველთვიური შემოსავალი.

პარტნიორსა და ქალს თანაბარი შემოსავალი აქვთ გამოკითხული შინამეურნეობების მხოლოდ 11%-ში.



გრაფიკი 42. ქალის ყოველთვიური შემოსავლის განაწილება პარტნიორის ხელფასთან მიმართებაში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შრომის ბაზარში ჩართულობა - რაც გულისხმობს, რომ პირი არის დასაქმებული ან აქტიურად ეძებს სამუშაოს - წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მამაკაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67%-ს და ქალებისთვის 40-46%-ს, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გენდერული კუთხით.



გრაფიკი 43. მოსახლეობის განაწილება სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით

არსებულ ოფიციალურ სურათს იმეორებს სამიზნე რეგიონებში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც შინამეურნეობების 46%-ში მხოლოდ ქმარს/პარტნიორს აქვს შემოსავალი.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით ხელფასებში განსხვავება გენდერული მიმართულებით დღემდე ირიცხება. ქალები იღებენ

მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. 2021 წელს ქალების ხელფასის თანაფარდობა მამაკაცების ხელფასთან 68.6%-ს შეადგენდა, რაც 1.0 პროცენტული პუნქტით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.



გრაფიკი 44. ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან (%), საქსტატი

დანართი #2. არაგანზოგადებადი მონაცემები

კვლევამ გამოავლინა ეკონომიკური ძალადობის კონკრეტული შემთხვევები, რაც გამოუცდიათ ინტიმურ ურთიერთობაში სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ ქალებს. თუმცა, ასეთი შემთხვევების რაოდენობა ცდომილების ზღვარში ექცევა და წარმოდგენილია წინამდებარე დანართის სახით.

ეკონომიკური ძალადობის გავრცელებულ ფორმებს შორის იკვეთება მამაკაცის ქმედებები, რაც ხელს უშლის ქალს მუშაობაში. გამოკითხული ქალების გამოცდილებით (კახეთი 7%, აჭარა 2%), ქმარი/პარტნიორი იქცეოდა ისე, რომ ქალისთვის შეუძლებელი იყო მუშაობის დაწყება. ხელს უშლიდა სწავლაში, პროფესიულ განვითარებასა და ზრდაში.



გრაფიკი 45. ქალების % საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #1

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ გამოკითხული ქალების 3%-ს პარტნიორი/ქმარი უკრძალავდა საკუთარი ქონების დამოუკიდებლად განკარგვას ან ხელს უშლიდა ამაში, განზრახ უზიანებდა პირად ნივთებს.



გრაფიკი 46. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #2

კვლევამ ასევე გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ქმარი/პარტნიორი სესხის სახით იღებდა თანხას უშუალოდ ქალისაგან ან მისი ნათესავებისა თუ მეგობრებისაგან და არ აბრუნებდა.



გრაფიკი 47. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #3

ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ქალის იძულება ან მისი დაყოლიება, აიღოს სესხი ქმრისთვის/პარტნიორისთვის, ან იყოს მისი თავდები. შედეგად, ფინანსური ვალდებულებების წინაშე მარტო რჩება ქალი, ვერ ფარავს დავალიანებას და უფუჭდება საკრედიტო ისტორია.



გრაფიკი 48. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #4

კვლევამ გამოავლინა მამაკაცის ისეთი ქცევები, რომლებსაც ახორციელებს ქალთან შეუთანხმებლად, რაც შემდგომ აისახება მთლიან ოჯახზე და საბოლოოდ უარესდება ქალის ფინანსური მდგომარეობა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქალისგან მალულად აიღო დიდი სესხი ქმარმა/პარტნიორმა და ეს დააწვა ოჯახის ბიუჯეტს.



გრაფიკი 49. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #5

ეკონომიკური ძალადობის ფორმებიდან გამოკითხულთა შორის ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული სხვებთან შედარებით უფრო მეტად მაკონტროლებელი ქცევები, როგორებიცაა ექიმთან ვიზიტის აკრძალვა (1%), ხარჯების კონტროლი (2%).



გრაფიკი 50. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის\ სხვადასხვა ფორმა, #6

კვლევამ ასევე გამოავლინა შემთხვევები, როდესაც ქმარი/პარტნიორი არ აძლევდა ან არ უზიარებდა ქალს საერთო

ოჯახური ხარჯებისთვის საჭირო თანხას.



გრაფიკი 51. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #7

სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ქალები ინტიმურ ურთიერთობაში ყოფილან ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მუქარის, შიშის ან შანტაჟის ქვეშ უწევდათ ცხოვრება. ქმარი/პარტნიორი განზრახ აზიანებდა ქალის ნივთებს, არწმუნებდა, რომ მასზე გადაეფორმებინა კუთვნილი ქონება და ა.შ.



გრაფიკი 52. ქალების წილი საკვლევ რეგიონებში, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #8

კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი შერჩევითი ერთობლიობიდან კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალების 6-8%-ს სულ ცოტა ერთხელ მაინც გამოუცდია ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან.



გრაფიკი 53.ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდიათ ეკ. ძალადობის სხვადასხვა ფორმა, #9

ეკონომიკური ძალადობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან

კვლევამ ასევე გამოავლინა მანკიერი პრაქტიკა, რომ ქალებს არ რთავენ ოჯახში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათგან დამოუკიდებლად ხდება სესხის აღება, ქონებისა თუ ნივთის დალომბარდება. თუმცა, შემდგომ ფინანსური პასუხის-მგებლობა ხშირად ქალს ეკისრება და უშუალოდ მას ადგება ზიანი. ასეთ შემთხვევებში თითქმის თანაბარია წილები ქალის როგორც საკუთარ, ასევე ქმრის/პარტნიორის ოჯახის წევრებს შორის.

	მშობლები	პარტნიორის მშობლები	ჩემი და/ძმა	პარტნიორის და/ძმა	არ ჰქონია გამოცდილება
ჩემგან დაუკითხავად აუღიათ ჩემი ფული/საერთო ფული	0,3	0,9	0,5	0,4	98
სხვა დანიშნულებით ხარჯავდნენ საოჯახო ხარჯებისთვის განკუთვნილ თანხას	0,3	0,7	0,2	0,7	98,1
ჩემთან შეუთანხმებლად დაალომბარდეს ჩემი/ოჯახის საერთო ნივთები	0,2	0,4	0,1	0,7	98,6
ჩემგან მალულად დიდი სესხი აიღეს და ეს დააწვა ოჯახის ბიუჯეტს	0,3	0,6	0,1	0,2	98,9
ისე მოიქცნენ, რომ დავკარგეთ ჩვენი ქონება	0,6	0,3	0,1	0,3	98,8

ცხრილი 16. ქალზე განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები ოჯახის წევრების მხრიდან გამოკითხულთა შორის, %

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ქალს ართმევენ კუთვნილ თანხას ან გამიზნულად უზიანებენ პირად ნივთებსა და ქონებას; არ აძლევენ უფლებას, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება.

	მშობლები	პარტნიორის მშობლები	ჩემი და/ძმა	პარტნიორის და/ძმა	არ ჰქონია გამოცდილება
მაიძულეს, მიმეცა ჩემი პირადი ფული	0,2	0,6	0,6	0,5	98,2
მიკრძალავდნენ ან ხელს მიშლიდნენ ჩემი ქონების დამოუკიდებლად განკარგვაში	0,2	0,7	0,1	0,3	98,8
განზრახ გაანადგურეს/დააზიანეს ჩემი პირადი ნივთები ან ქონება	0,2	0,5	0,1	0,5	98,8
ისესხეს ჩემგან ფული და აღარ დამიბრუნეს	0,3	0,5	0,1	0,4	98,6

ცხრილი 17. ქალზე განხორციელებული ეკ. ძალადობის ფორმები ოჯახის წევრების მხრიდან გამოკითხულთა შორის, %

ეკონომიკური ძალადობა ეთნიკურ უმცირესობებში

ეთნიკურ უმცირესობებში თემში არსებული სოციალურ-კულტურული ფაქტორების გამო დაბალია გავრცელების მაჩვენებლები ქვემოთ მოცემულ დებულებებზეც. გამოკითხვის პროცესში ქალებმა არაერთხელ დააფიქსირეს, რომ ფინანსები ოჯახის უფროსის საქმეა და ვერ ხედავენ პრობლემას, თუკი მათთან შეუთანხმებლად დაიხარჯება ოჯახისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი.

	არა	**დიახ**
მაიძულა, მიმეცა ჩემი პირადი ფული	96%	4%
ისე გააკეთა, რომ ფინანსურად მთლიანად მასზე ვარ/ვიყავი დამოკიდებული	95%	5%
ჩემგან მალულად დიდი სესხი აიღო და ეს დააწვა ოჯახის ბიუჯეტს	96%	4%
სხვა დანიშნულებით ხარჯავდა საოჯახო ხარჯებისთვის განკუთვნილ თანხას	98%	2%
ჩემთან შეუთანხმებლად დაალომბარდა ჩემი/ოჯახის ნივთები	98%	2%

ცხრილი 18. ეკ. ძალადობის გავრცელებული ფორმები ეთნ. უმცირესობებში

დანართი #3.

ჰიპოთეზების ტესტირების შედეგები

		Levene's Test for Equality of Variances		t-test for Equality of Means						
									95% Confidence Interval of the Difference	
		F	Sig.	t	df	Sig. (2-tailed)	Mean Difference	Std. Error Difference	Lower	Upper
SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	Equal variances assumed	3.774	.052	-2.153	1498	.031	-.97058	.45082	-1.85488	-.08628
	Equal variances not assumed			-2.201	129.231	.029	-.97058	.44089	-1.84288	-.09828

ცხრილი 19. ეკ ძალადობის სკალის სანდოობის ანალიზი

კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარისა და კახეთის რეგიონებში 16-45 ასაკობრივი ჯგუფიდან ოდესმე ფორმალურ თუ არაფორმალურ პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 14%-ს ეკონომიკური ძალადობის სულ ცოტა ერთი ფორმა მაინც გამოუცდია.

				Bootstrap[a]			
						95% Confidence Interval	
			Statistic	Bias	Std. Error	Lower	Upper
	უფრო მეტი შემოსავალი						
SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	ქალს უფრო მეტი შემოსავალი არ აქვს	N					
		Mean	1.3479	-.0089	.1084	1.1337	1.5670
		Std. Deviation	4.08918	-.03462	.27505	3.53179	4.63325
		Std. Error Mean	.10863				
	ქალს უფრო მეტი შემოსავალი აქვს	N					
		Mean	3.0077	.0447	.6893	1.8614	4.5346
		Std. Deviation	7.71839	-.03561	1.01888	5.71764	9.63193
		Std. Error Mean	.67695				

ცხრილი 20. ჰიპოთეზა #7 - ის ტესტირების შედეგი

ქალები განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას პარტნიორების მხრიდან მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ პარტნიორზე/ქმარზე მეტი შემოსავალი. ეკონომიკური ძალადობა განგრძობადია და, როგორც წესი, აქვს სისტემატური ხასიათი.

			Statistic	Bootstrap[a]			
				Bias	Std. Error	95% Confidence Interval	
	დაქორწინებული/ განქორწინებული					Lower	Upper
SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	განქორწინებულია/ დაშორებულია	N					
		Mean	9.6087	-.0145	.9454	7.7032	11.4902
		Std. Deviation	10.26636	-.10499	.58983	8.92406	11.28119
		Std. Error Mean	.95734				
	არ არის განქორწინებული/ დაშორებული	N					
		Mean	.8864	-.0042	.0828	.7294	1.0522
		Std. Deviation	3.00972	-.02836	.26031	2.46309	3.50950
		Std. Error Mean	.07995				

ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლებს განუცდიათ იგივე ხასიათის ძალადობა ოჯახის სხვა წევრის ან/და წევრების მხრიდან.

				SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	SCL ოჯახის ეკ. ძალადობა	
SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	Pearson Correlation			1	.480**	
	Sig. (2-tailed)				.000	
	N			1548	1548	
	Bootstrap[b]	Bias		0	-.002	
		Std. Error		0	.055	
		95% Confidence Interval	Lower	1	.369	
			Upper	1	.577	
SCL ოჯახის ეკ. ძალადობა	Pearson Correlation				.480**	1
	Sig. (2-tailed)				.000	
	N				1548	1548
	Bootstrap[b]	Bias		-.002	0	
		Std. Error		.055	0	
		95% Confidence Interval	Lower	.369	1	
			Upper	.577	1	

**. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები გამხდარან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლებიც ინტიმური პარტნიორისა თუ ოჯახის სხვა წევრის მხრიდან.

				SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	SCL სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორისგან ან ოჯახის წევრებისგან	
SCL ერთიანი ეკ. ძალადობა	Pearson Correlation			1	.654**	
	Sig. (2-tailed)				.000	
	N			1544	1544	
	Bootstrap[b]	Bias		0	-.001	
		Std. Error		0	.035	
		95% Confidence Interval	Lower	1	.575	
			Upper	1	.717	
SCL სხვა ტიპის ძალადობა პარტნიორისგან ან ოჯახის წევრებისგან	Pearson Correlation				.654**	1
	Sig. (2-tailed)				.000	
	N				1544	1544
	Bootstrap[b]	Bias		-.001	0	
		Std. Error		.035	0	
		95% Confidence Interval	Lower	.575	1	
			Upper	.717	1	

**. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).